

სკანდალური და „სასიამოვნო" ხელშეკრულებები

A2



გულახდილად

A5



„საზოგადოება" საზოგადოების წინააღმდეგ

A8

www.24saati.ge

# 24 საათი

ყოველდღიური

© გაზეთი 24 საათი — შაბათი, 28 იანვარი, 2006 წელი. №18 (1170) — ფასი 50 თეთრი

## ამბები

### ავიაკომპანიები მგზავრებს კომპენსაციას გადაუხდიან

იმ დროს, როცა ორი ავია-გიგანტი ამერიკული "ბოინგი" და ევროპული "ეარბასი" პირველობაზე გადამწყვეტი ბრძოლისთვის ემზადებიან, ევროპის უმაღლესი სასამართლო ავიაკომპანიებისთვის არცთუ სასიამოვნო ვერდიქტს აქვეყნებს. უფრო სწორად, ძალაში ტოვებს ევროპის მინისტრთა საბჭოს 2004 წლის თებერვლის გადაწყვეტილებას, რომელიც რამდენიმე არასამთავრობო ასოციაციამ ლონდონის სასამართლოში გაასაჩივრა.

A2

## ამბები

### ალასანია გაერო-ში რუსეთს აკრიტიკებს

საქართველოს პრეზიდენტის სპეციალური წარმომადგენელი ქართულ-აფხაზური მოლაპარაკებების საკითხში ირაკლი ალასანია გაერო-ს უშიშროების საბჭოს სხდომაზე სიტყვით გამოვიდა. ალასანიამ ისაუბრა, თუ როგორ აფასებს საქართველო აფხაზეთში გაერო-ს ეგიდით მიმდინარე სამშვიდობო პროცესის მთავარი მონაწილეების საქმიანობას.

A3

## სპორტი

### ჰა ბურთი, ჰა მოედანი და... ჰა მეტოქეებიც

მეტოქეები ნამდვილად ისეთი გვყავს, ნებისმიერი გემოვნების საფეხბურთო ესთეტს ხელების ფშვნეტას დააწყებინებს.

A6

საერთაშორისო იურიდიული ოფისი "გაპი" სტრასბურგის ადამიანის უფლებათა ევროპის სასამართლოში კლიენტთა ინტერესების დაცვას ახორციელებს თავისი წარმომადგენლით საფრანგეთში.

## ამინდი

| | 28/01 | 29 /01 |
|---|---|---|
| თბილისი | 6 | 5 |
| ყვარელი | 5 | 4 |
| სოხუმი | 3 | 3 |
| დმანისი | -3 | -4 |
| გორი | 3 | 2 |
| ონი | -1 | -2 |
| ზუგდიდი | 5 | 5 |
| ახმეტა | 7 | 5 |
| ბაბრა | 1 | 2 |
| სამტრედია | 6 | 6 |

## უცხოური ვალუტის ოფიციალური კურსი ლართან მიმართებაში

| | |
|---|---|
| აშშ დოლარი | 1.7981 |
| ევრო | 2.1824 |
| ბრიტანეთის სტერლ. | 3.1765 |
| რუბლი | 0.0633 |


| | |
|---|---|
| ამბები | A 2 |
| პოლიტიკა | A 3 |
| სამართალი | A 4 |
| კვირა | A 5 |
| სპორტი | A 6 |
| ტენდერი | A 7 |
| სხვადასხვა | A 8 |


# ირანული გაზის იმედად

დიანა ჩაჩუა
ნათია მსხილაძე

*გუშინ ხელმოწერილი მემორანდუმის თანახმად, კვირის ბოლომდე საქართველო ირანიდან 2 მილიონ კუბურ მეტრ ბუნებრივ აირს მიიღებს. "საქართველოს გაზის საერთაშორისო კორპორაციის" ცნობით, საქართველო ირანული გაზის მისაღებად ტექნიკურად მზადაა, თუმცა გარკვეული იურიდიული და ტექნიკური საკითხები დასაზუსტებელია. ირანული გაზის ფასი უცნობია, რადგან ეს საკითხი მემორანდუმში კონფიდენციალური მუხლის სახით შევიდა. თუმცა, გავრცელებული ინფორმაციით, საქართველო ირანიდან 1000 კუბურ მეტრ ბუნებრივ აირს 120 აშშ დოლარად, ანუ 10 დოლარით ძვირად მიიღებს, ვიდრე რუსეთიდან იღებდა.*

გაგრძელება A3 გვერდზე



*ნავთის რიგებს, ალბათ, ორ დღეში მოეღება ბოლო.*

# ენერგოკრიზისმა მეპურეებს პრობლემები შეუქმნა

ნინო ნატროშვილი

საქართველოში შექმნილმა ექვსდღიანმა ენერგოკრიზისმა თავისი კვალი უკვე დატოვა. თუმცა, ენერგოდეფიციტის შედეგად მიყენებული ზარალის შედეგებს ხელისუფლების მაღალ ეშელონებში არავინ ითვლის. "24 საათის" მცდელობა, გაერკვია, თუ რამდენი მილიონი ლარით იზარალა ქვეყნის ეკონომიკამ ენერგოკრიზისის პირობებში, უშედეგოდ დასრულდა. ხელისუფლების ეკონომიკური გუნდი ინფორმაციას არ ფლობს, სტატისტიკის დეპარტამენტი კი იანვრის ენერგოკრიზისის ზარალს თებერვალში დაითვლის.

ენერგოდეფიციტის სიმწვავე საკუთარ თავზე ყველაზე მძიმედ მოსახლეობამ და მეწარმეებმა იგრძნეს. ფასები პროდუქტზე გაიზარდა, ბაზარზე საწვავის დეფიციტი გაჩნდა, ხოლო მეწარმეებს საქმიანობის გაგრძელება ახალ რეალობაში მოუხდათ.

საწვავის დეფიციტი ბაზარზე აშკარაა. როგორც "24 საათთან" საუბარში ნავთობპროდუქტების მწარმოებელთა, იმპორტიორთა და მომხმარებელთა ასოციაციის ხელმძღვანელმა ვანო მთვრალაშვილმა განაცხადა, ნავთი 60 თეთრად მხოლოდ კომპანია "ლუკოილის" ოთხ ბენზინგასამართ სადგურზე იყიდება, ნავთის რეალური საბაზრო ფასი კი 1,50 თეთრია. რაც შეეხება საწვავს, ენერგოკრიზისის პირობებში ბენზინის და დიზელის ფასი ჯერჯერობით სტაბილური რჩება.

გაგრძელება A3 გვერდზე

# "ჰამასი" - პალესტინის არჩევნებში გამარჯვებული პარტია

პალესტინაში ჩატარებულ საკანონმდებლო ორგანოს არჩევნებში გამარჯვება ტერორისტული ორგანიზაციის სახელით ცნობილმა "ჰამას"-მა მოიპოვა. წინასწარი გათვლებით, "ჰამას"-ი საკანონმდებლო ორგანოში 132 სადეპუტატო მანდატიდან 76-ს მოიპოვებს.

მიუხედავად იმისა, რომ საერთაშორისო საზოგადოება მთელ აქცენტს "ფათჰ"-ის შესაძლო გამარჯვებაზე აკეთებდა, ისრაელთან დაპირისპირებულ ხალხზე ამან ვერ იმოქმედა და პალესტინელებმა არჩევანი უფრო აგრესიულ და კომპრომისების არმცნობ "ჰამას"-ზე გააკეთეს. "ფათჰ"-მა პოპულარობის დაკარგვა ჯერ კიდევ არაფატის სიკვდილის შემდეგ დაიწყო, რასაც ისიც დაემატა, რომ იგი აბსოლუტურად უსუსური აღმოჩნდა კორუფციასთან ბრძოლაში.

რაც შეეხება დიდი რუდუნებით შემუშავებულ "საგზაო რუკას", "ჰამას"-ის გამარჯვების შემდეგ ცოტას თუ დარჩება მისი განხორციელების ილუზია.

გაგრძელება A3 გვერდზე





## ლიტერატურული კონკურსი "საბა"-2006



### გამომცემლობების და ავტორების საყურადღებოდ

გაცნობებთ, რომ 2006 წელს უკვე მეოთხედ გაიმართება ყოველწლიური ლიტერატურული პრემია "საბას" დაჯილდოება, რომლითაც მოხდება ამჯერად უკვე 2005 წლის ლიტერატურული პროდუქციის შეფასება.

ყოველწლიურ ლიტერატურულ პრემია "საბას" დამფუძნებლები არიან სს თიბისი ბანკი, გაზეთი "24 საათი" და მწერალთა გაერთიანება "ქართული პენ-კლუბი". პრემიის მიზანია გასული წლის ლიტერატურული პროცესების შეფასება და წლის საუკეთესო ნაწარმოებების გამოვლენა.

წლეულსაც პრემიის გაცემა მოხდება ტრადიციულად 23 აპრილს. **პრემიაზე განიხილება 2005 წელს წიგნად გამოცემული ყველა ორიგინალური ლიტერატურული ნაწარმოები (რომანი, პროზაული კრებული, პოეტური კრებული), უცხოური ნაწარმოების ქართული თარგმანი, ასევე პერიოდიკაში (პრესაში) გამოქვეყნებული ან წიგნად გამოსული ლიტერატურული კრიტიკის ნიმუშები და პიესები.**

**ლიტერატურული პრემია გაიცემა შემდეგ ნომინაციებში:**

წლის საუკეთესო რომანი
წლის საუკეთესო პოეტური კრებული
წლის საუკეთესო პიესა
წლის საუკეთესო პროზაული ნაწარმოები
წლის საუკეთესო ლიტერატურული კრიტიკოსი
წლის საუკეთესო თარგმანი
წლის საუკეთესო დებიუტი

**იმ გამომცემლობებს და ავტორებს, რომლებმაც 2005 წლის განმავლობაში გამოსცეს წიგნები ზემოთ ჩამოთვლილი ნომინაციების შესაბამისად, გთხოვთ, 31 იანვრამდე მოგვაწოდოთ შემდეგი ინფორმაცია: წიგნის სახელწოდება, ავტორი და გამომცემლობა.**

გთხოვთ, აღნიშნული ინფორმაცია მოგვაწოდოთ შემდეგ რეკვიზიტებზე:
**ფაქსი: 772 774**
**e-mail: mdzirkvelishvili@tbcbank.com.ge**
**info@tbcbank.com.ge**
ან წერილობითი სახით მოგვაწოდოთ მისამართზე:
*თბილისი, მარჯანიშვილის ქ. 7, "თიბისი ბანკის" სათავო ოფისი*

*საკონტაქტო პირი: მაია ძირკველიშვილი*
*თიბისი ბანკის საზოგადოებასთან ურთიერთობის სამსახური*

# უკრაინის დღეები გურიაში

თამაზ ხარაიშვილი
ოზურგეთი

ქართველი და უკრაინელი ხალხების ისტორიული მეგობრობის ბუნებრივ გაგრძელებას წარმოადგენდა ოზურგეთისა და ხერსონის ოლქის განიჩესკის რაიონების ურთიერთობა, რომლებიც საფუძველი მეორე მსოფლიო ომის წლებში ჩაეყარა, როცა გურიის რამდენიმე სოფელში უკრაინიდან ევაკუირებული ოჯახები შეიფარა. რამდენიმე წლის წინათ კი, ოზურგეთში ჩამოყალიბდა საქართველოში, გურიაში მცხოვრებ უკრაინელთა ასოციაცია (თავმჯდომარე გენადი უდოვიჩენკო), რომლის საქმიანობის პრიორიტეტებში განსაკუთრებულ ადგილი უჭირავს ძველი კონტაქტების აღორძინება-განვითარებას. სწორედ ამ მიზნით გურიაში მოეწყო უკრაინის დღეები, უკრაინის საგარეო საქმეთა სამინისტროს და საქართველოში უკრაინის საელჩოს მხარდაჭერით. ოზურგეთში იმყოფებოდნენ უკრაინის ელჩი საქართველოში ნიკოლაი სპისი, მეუღლითურთ, უკრაინის კონსული ვლადიმირ ბონდარენკო, თბილისში არსებული უკრაინული სკოლის პედაგოგები, საქართველოში მცხოვრებ უკრაინელთა სათვისტომოს წარმომადგენლები საქართველოს სხვადასხვა რეგიონებიდან, ამ სათვისტომოსთან არსებული უკრაინული ფოლკლორული ანსამბლი "ლილეია".

გურიის მხარის და ოზურგეთის რაიონის ხელისუფლების წარმომადგენლებმა გვირგვინებით შეამკეს ოზურგეთის კულტურისა და დასვენების პარკში არსებული უკრაინელი და ქართველი ხალხის მეგობრობისადმი მიძღვნილი მონუმენტი.

დღის ბოლოს ოზურგეთის სახელმწიფო თეატრში გაიმართა ერთობლივი კონცერტი ადგილობრივი მხატვრული კოლექტივებისა და ანსამბლ "ლილეია"-ს მონაწილეობით. კონცერტის დამთავრების შემდეგ უკრაინის ელჩმა ნიკოლაი სპისმა ჯილდოები გადასცა იმ ვეტერანებს, რომლებიც მეორე მსოფლიო ომში იბრძოდნენ უკრაინის გათავისუფლებისათვის.

გურიაში უკრაინის დღეების პროგრამის შესაბამისად კინოთეატრ "ოზურგეთში" დაიწყო უკრაინული ფილმების რეტროსპექტივა.

# უცნობი თავისუფლება

FM უცნობი 92.0

## გადაცემის სტუმარია გიორგი ჟვანია

**გიორგი ჟვანია:** რაც არ უნდა ცუდი, ვერაგი მთავრობა იყოს, თუ ოპოზიცია ძლიერია, მაშინ ამ ქვეყანას ახლო მომავალში პერსპექტივა ექნება. ჩემი სიმპათიები მაინც ოპოზიციისკენ იხრება. მაგრამ ოპოზიცია არ არის ისეთი, როგორიც უნდა იყოს, როგორც სტრუქტურულად, ისე მატერიალურად და ა.შ. ისეთი შთაბეჭდილება მრჩება, რომ ხელისუფლება ოპოზიციას გადაუგდებს თემას, რაზეც მათ უნდა ატეხონ ხმაური. თავის ხაზს ისინი არ გვთავაზობენ. ხელისუფლების გადაგდებულ თემებზე იმართება დებატები, რაც მათ სისუსტეზე მიუთითებს.

**მსენელი: ბატონო გიორგი, აპირებთ თუ არა პოლიტიკაში წასვლას და რომელიმე ოპოზიციურ ძალასთან გაერთიანებას?**

**გ.ჟ.** ნამდვილად ვფიქრობდი, იყო სხვადასხვა მოწოდებაც, მაგრამ მე გადავწყვიტე, რომ პოლიტიკაში არ წავალ.

**მსმენელი: თქვენ აღნიშნეთ, რომ ბატონ ზურაბ ჟვანიას სიკვდილი წინასწარ განზრახული მკვლელობა იყო. როგორ თვლით, ვის აწყობდა ზურაბ ჟვანიას სიკვდილი?**

**გ.ჟ.** ზურაბ ჟვანიას სიკვდილი ბევრს აწყობდა, რათა ის პოლიტიკიდან ჩამოეცილებინათ. მაგრამ ეს არ ნიშნავს იმას, რომ ყველა ის ადამიანი პოტენციურ მკვლელად განვიხილოთ. ძალიან ბევრი რომ გალაღდა ზურას სიკვდილის შემდეგ, ესეც ფაქტია.

**ალექსანდრე ელისაშვილი: ახლა რა დოკუმენტებიც გაქვთ, შეგიძლიათ თქვათ, რომ თქვენთვის ზურაბ ჟვანიას სიკვდილის შესახებ ყველაფერი გაირკვა?**

**გ.ჟ.** ყველაფერი გაირკვევა მაშინ, როდესაც გავიგებ, რომ ამა და ამ ადამიანებმა ჩაიდინეს ეს დანაშაული. კონკრეტულად ვინ ჩაიდინა, ამის თქმა ნაადრევია, თუმცა შემიძლია დანამდვილებით გითხრათ, რომ ზურას სიკვდილი დაცვის გარეშე არ მომხდარა. ეს ეჭვგარეშეა.

**ა.ე. პირადი დაცვის?**

**გ.ჟ.** კი, პირად დაცვას ვგულისხმობ.

**ა.ე. ყველას?**

**გ.ჟ.** ყველას არა, რა თქმა უნდა, ორ-სამ ადამიანს. ესენი იყვნენ ერთ-ერთი შემსრულებლები.

**ა.ე. ზურაბ ჟვანია თავისი სიფრთხილით და გონებით გამოირჩეოდა. თუ ვიღაცამ ხელისუფლებაში მისი მკვლელობა განიზრახა, ნუთუ ის ვერ მიხვდა? ან რამე ეჭვი ხომ არ გამოუთქვამს თქვენთან?**

**გ.ჟ.** მისი მხრიდან ასეთი რამ არ მომისმენია. პირიქით, ამ შემთხვევამდე ერთი წლით ადრე მომივიდა ხმები, რომ რაღაც მზადდებოდა ზურას წინააღმდეგ. მის ჩამოცილებაზე იყო საუბარი. ზურას მივაწოდე ეს ინფორმაცია, წყაროსაც შევახვედრე, მაგრამ, შეიძლება არც იყო სერიოზული ინფორმაცია. ასეთი ინფორმაცია რომ არსებობდა, ფაქტია. ზურა სერიოზულად რომ არ მოკიდებოდა ამ საქმეს, წყაროსაც არ შეხვდებოდა. ფაქტია, რომ ვერ გათვალა.

**ა.ე. ორი წლის წინ სხვა ხელისუფლება იყო...**

**გ.ჟ.** ეს ინფორმაცია ახალი ხელისუფლების დროს მომივიდა. იქ კონკრეტულ ადამიანებზეც იყო საუბარი, რომლებიც დღეს კარგად გრძნობენ თავს და წინ წაწეულებიც არიან.

**ა.ე. წყარომ რომ გაცნობათ ზემოაღნიშნული ინფორმაცია, იგი იმ ადამიანთა ჯგუფზე მიუთითებდა, ვისზეც თქვენ ეჭვი გაქვთ, ანუ ვერსიები ერთმანეთს ემთხვევა?**

**გ.ჟ.** კი, წყაროს მიერ დასახელებული ადამიანთა ჯგუფი ამ ვერსიაში ჯდება.

**ა.ე. ჟვანიას სიკვდილის შემდეგ, პირველი, რა გრძნობაც თითოეულ ადამიანს გაუჩნდა, დაუცველობის განცდა იყო... თუ შეიძლება პრემიერ-მინისტრი ასე დაიღუპოს, მაშინ ჩვენ რა უნდა ვთქვათ... თქვენ რა გრძნობა გეუფლებათ, როდესაც ამაზე ფიქრობთ?**

**გ.ჟ.** რაც არ უნდა ცუდი ხელისუფლება ჰყავდეს ქვეყანას, ყველაფერი საბოლოო ჯამში ხალხის გადასაწყვეტია. მთავარია, ჩვენი საკეთებელი შეძლებისდაგვარად ვაკეთოთ.

**მსმენელი: ამბობდნენ, რომ ჟვანია პროამერიკული კურსის მიმდევარი არ იყო... ზურაბ ჟვანიას გარდაცვალების შემდეგ პოლიტიკურ ვექტორში თუ ხედავთ რაიმე ცვლილებას?**

**გ.ჟ.** ზურასთვის დასავლური ფასეულობები ძალიან მნიშვნელოვანი იყო. მისი ორიენტაცია არც პროამერიკული იყო და არც პრორუსული. ზურას ორიენტაცია ქართული იყო.

# სკანდალური და „სასიამოვნო" ხელშეკრულებები

გიორგი ასანიშვილი



პარლამენტი საერთაშორისო ხელშეკრულებების რატიფიცირებისთვის ემზადება.

პარლამენტის საგაზაფხულო სესიის დაწყებისთანავე კანონმდებლები რამდენიმე საერთაშორისო ხელშეკრულებისა და შეთანხმების რატიფიცირებას მოახდენენ. საგარეო ურთიერთობათა კომიტეტში ამ დოკუმენტების გარშემო გუშინ საფუძვლიანი მსჯელობა გაიმართა.

სარატიფიკაციო ხელშეკრულებებიდან ცალკე აღნიშვნას იმსახურებს თურქეთის "ექსპორტკრედიტბანკსა" და საქართველოს ფინანსთა სამინისტროს შორის დადებული შეთანხმება, რომელიც საზოგადოებისთვის კარგად ნაცნობ ე.წ "თურქულ კრედიტს" შეეხება.

**"ეს ის ცნობილი თურქული კრედიტია, რომელიც საქართველოს ხელისუფლებამ ათიოდე წლის წინ აიღო და რომლის შესახებაც უამრავი სკანდალი გვახსოვს. წინა მოწვევის პარლამენტებში, თურქული კრედიტის შესასწავლად, არაერთი კომისია შეიქმნა, მაგრამ მათ ვერაფერი დაადგინეს. არ გამოვრიცხავ, რომ ამ საკითხს კიდევ ერთხელ დავუბრუნდეთ,"** – აცხადებს საგარეო ურთიერთობათა კომიტეტის თავმჯდომარე კოტე გაბაშვილი.

ვიდრე "თურქული კრედიტის" გარშემო მორიგი "კვლევა-ძიება" დაიწყება, პარლამენტი აღნიშნული კრედიტის თაობაზე 2004 წლის ივლისში "პარიზის კლუბში" მიღწეული შეთანხმების რატიფიცირებას მოახდენს. ამ შეთანხმების მიხედვით, 2025 წლამდე გადავადებას ექვემდებარება ვალის 2003-2006 წლებში ვადაგადაცილებული და გადასახდელი ძირითადი თანხა და პროცენტი, 26,5 მილიონი დოლარის ოდენობით. გარდა ამისა, საქართველოს სახელმწიფო ბიუჯეტისთვის ერთგვარი "შვება" იქნება ისიც, რომ საპროცენტო განაკვეთი წლიური ოთხი პროცენტიდან 3,25 პროცენტამდე მცირდება.

პარლამენტის რატიფიცირებას საჭიროებს, აგრეთვე, საქართველოს თავდაცვის სამინისტროსა და აშშ-ს თავდაცვის დეპარტამენტს შორის "ბიოლოგიური იარაღის განვითარებასთან დაკავშირებული ტექნოლოგიების გავრცელების თავიდან აცილების სფეროში თანამშრომლობის შესახებ" შეთანხმების შესწორება.

ეს შესწორება ქართული მხარისთვის საკმაოდ "სასიამოვნოა", ვინაიდან აშშ-ს თავდაცვის დეპარტამენტის უსასყიდლო დახმარების თავდაპირველი ოდენობა 5-დან 15 მილიონ დოლარამდე იზრდება, ხოლო შემდგომი დახმარება - 30 მილიონ დოლარამდე.

ამ შეთანხმების მიხედვით, აშშ საქართველოს დაეხმარება ბიოლოგიური მასალების დაცვაში, მათ აღრიცხვიანობასა და კონტროლის გაუმჯობესებაში. დახმარების მიზანი ის არის, რომ არ მოხდეს საქართველოს ლაბორატორიებში არსებული პათოგენების მოპარვა ან მათი არამიზნობრივად გამოყენება.

გუშინ საგარეო ურთიერთობის კომიტეტმა მხარი დაუჭირა, აგრეთვე, საქართველოს მთავრობისა და გერმანიის აღმასრულებელი ხელისუფლების მიერ ერთობლივად შპს "გერმანიის ტექნიკური თანამშრომლობის საზოგადოების (GTZ) ადგილობრივი ბიუროს" დაფუძნებას.

აღნიშნული ბიურო თბილისში უახლოეს მომავალში ჩამოყალიბდება და მნიშვნელოვანი პროექტების განხორციელებას გაუწევს კოორდინირებას.

კოტე გაბაშვილი ასევე "სასიამოვნო ხელშეკრულებების" რიცხვს მიაკუთვნებს საქართველოსა და შვეიცარიის მთავრობებს შორის ტექნიკური, ფინანსური და ჰუმანიტარული თანამშრომლობის შესახებ დადებულ შეთანხმებას.

**"თუ ასეთი ამინდები გაგრძელდა, შვეიცარელებისგან ნამდვილად დაგვჭირდება დახმარება, თხილამურების სახით. კომიტეტის თავმჯდომარეები დიდ თხილამურებს მივიღებთ, სხვები კი - შედარებით პატარებს,"** - "მხიარულ ტალღაზე" დაასრულა საგარეო ურთიერთობათა კომიტეტის გუშინდელი სხდომა კოტე გაბაშვილმა.

# ალასანია გაერო-ში რუსეთს აკრიტიკებს

*საქართველოს პრეზიდენტის სპეციალური წარმომადგენელი ქართულ-აფხაზური მოლაპარაკებების საკითხში ირაკლი ალასანია გაერო-ს უშიშროების საბჭოს სხდომაზე სიტყვით გამოვიდა. ალასანიამ ისაუბრა, თუ როგორ აფასებს საქართველო აფხაზეთში გაერო-ს ეგიდით მიმდინარე სამშვიდობო პროცესის მთავარი მონაწილეების საქმიანობას. მისი თქმით, პრეზიდენტ სააკაშვილის ადმინისტრაცია სრულად უჭერს მხარს კონფლიქტის მშვიდობიანი გზით გადაწყვეტას.*

**''კონფლიქტის მოწესრიგების გზაზე ბოლო დროს გარკვეული პოზიტიური ძვრები აღინიშნა. კერძოდ, საუბარი მაქვს ეკონომიკური კავშირების აღდგენის მიზნით გაწეულ ძალისხმევასა და იმ თანამშრომლობაზე, რომელიც საქართველოსა და რუსეთის ფედერაციას შორის აფხაზეთის გავლით სარკინიგზო მიმოსვლის აღდგენისაკენ იყო მიმართული. მინდა, რუსეთის მხარეს მადლობა გადავუხადო თანამშრომლობისთვის, რამაც შესაძლებელი გახადა სარკინიგზო ინფრასტრუქტურის ტექნიკური შეფასების წარმატებით დასრულება'',** -აღნიშნა ალასანიამ.

ამასთან, მან ისაუბრა აფხაზეთის დე ფაქტო ხელისუფლების შემაშფოთებელ განცხადებებსა და ქმედებებზე. რომ გალის რაიონში უსაფრთხოებისა და უშიშროების მინიმალური ნორმებიც კი არ არის დაცული. ყოველდღიურად უხეშად ირღვევა ადამიანის ძირითადი უფლებები, საფრთხის ქვეშაა ადამიანების სიცოცხლე.

**''კვლავაც ინგრევა საქართველოს ისტორიული ძეგლები, ეკლესიები და მონასტრები. ქართულ ენაზე სწავლების აკრძალვა ჯერ კიდევ არ არის გაუქმებული და ბავშვებს წართმეული აქვთ მშობლიურ ენაზე განათლების მიღების უფლება,''** - აღნიშნა პრეზიდენტის წარმომადგენელმა.

ირაკლი ალასანიამ აქცენტი გააკეთა იძულებით პასპორტიზაციაზე, ზოგადად, აფხაზეთში ქართველთა ეთნიკურ წმენდაზე და ამ კონფლიქტის მოგვარებაში რუსეთის როლზე.

**''უშიშროების საბჭოს ერთ-ერთი წევრი, მეგობარი ქვეყნების ჯგუფის წარმომადგენელი და სამშვიდობო პროცესში შუამავლის როლის შემსრულებელი ქვეყანა - რუსეთის ფედერაცია მოულოდნელად იღებს გადაწყვეტილებას, უარი თქვას ისეთი ძირითადი პრინციპის მხარდაჭერაზე, როგორიცაა საქართველოს ტერიტორიული მთლიანობა საერთაშორისოდ აღიარებული საზღვრების ფარგლებში,''** - განაცხადა ალასანიამ.

პრეზიდენტის წარმომადგენლის განცხადებით, რუსეთი არ ცნობს სამშვიდობო გეგმას, რომელსაც 2005 წლის დეკემბერში მხარი დაუჭირა და ხელი მოაწერა თვითონ რუსეთის საგარეო საქმეთა მინისტრმა ეუთო-ს 54 წევრ სახელმწიფოსთან ერთად. **''ეს დამატებით საფუძველს გვაძლევს, ეჭვქვეშ დავაყენოთ რუსეთის უნარი და სურვილი, შეასრულოს ობიექტური და მიუკერძოებელი შუამავლის როლი კონფლიქტის მოგვარების საკითხში,''** - განაცხადა ალასანიამ.

მან მოუწოდა გაერო-ს ხელმძღვანელობას, ვითარებიდან გამოსავალი იპოვონ. **''ჩვენ, როგორც სახელმწიფო, როგორც საერთაშორისო თანამეგობრობის სრულუფლებიანი წევრი, მზად ვართ ვიმოქმედოთ პასუხისმგებლობით, დავიცვათ საყოველთაოდ აღიარებული პრინციპები და მოვუწოდებთ თითოეულ წევრ სახელმწიფოს, ყველა ღონე იხმაროს აფხაზეთის კონფლიქტის მშვიდობიანი გადაწყვეტის მიზნით,''** - განაცხადა ირაკლი ალასანიამ.

*24 საათი*

# ავიაკომპანიები მგზავრებს კომპენსაციას გადაუხდიან

*იმ დროს, როცა ორი ავია-გიგანტი ამერიკული "ბოინგი" და ევროპული "ეარბასი" პირველობაზე გადამწყვეტი ბრძოლისთვის ემზადებიან, ევროპის უმაღლესი სასამართლო ავიაკომპანიებისთვის არცთუ სასიამოვნო ვერდიქტს აქვეყნებს. უფრო სწორად, ძალაში ტოვებს ევროპის მინისტრთა საბჭოს 2004 წლის თერბერვლის გადაწყვეტილებას, რომელიც რამდენიმე არასამთავრობო ასოციაციამ ლონდონის სასამართლოში გაასაჩივრა. მას შემდეგ, რაც ბოლო წლებში განვითარებული პოლიტიკური თუ სამხედრო მოვლენების გამო ავიაციაში დანერგილმა ცვლილებებმა მილიონობით მგზავრის წყენა გამოიწვია, ბოლო ინფორმაცია მართლაც მიმზიდველად გამოიყურება. როგორ და რა ოდენობის კომპენსაცია უნდა მოითხოვოს მგზავრმა ავიაკომპანიის მიერ მიყენებული დისკომფორტისთვის?*

ოთარ ქირია

რამდენიმე დღის წინ, ავიამშენებლობის ერთ-ერთმა გიგანტმა "ბოინგმა" გასული წლის ფინანსური ანგარიში გამოაქვეყნა, რომლის შედგებიც იმას მიუთითებს, რომ შესაძლოა ბაზარზე პირველობა მალე დაიბრუნოს. 2005 წლის მონაცემებით, "ბოინგმა" 1002 თვითმფრინავი გაყიდა, ამჟამინდელ ლიდერს, ევროპულ "ეარბასს" კი მხოლოდ 779 ავიალაინერი შეუკვეთეს, საიდანაც დიდი წილი ახლად მოდიფიცირებულ A-380-ზე მოდის. რაც შეეხება ბოინგს, გაყიდვების მიხედვით, პირველ ადგილს უცვლელად "ბოინგ-737" იკავებს, მეორეს – "ბოინგ-777". ამერიკული კომპანია დიდ იმედებს ამყარებს ასევე ახალ "ბოინგ-787"-ზეც. ეს არის ე.წ. "დრიმლაინერი", რომელმაც მანძილის სოშორის თვალსაზრისით გასულ წელს რეკორდიც მოხსნა (რა თქმა უნდა, ეს რეკორდი არც იარსებებდა, "კონკორდი" რომ არ მოეხსნათ ფრენებიდან). ორივე კომპანიის ძირითად მომხმარებელს ჩრდილო-აღმოსავლეთ აზიური ავიაკომპანიები წარმოადგენენ. მათ შორის ჯერ არ ირიცხებიან ქართული ავიაკომპანიები.

ყოველ ახალ მოდელში მშენებლები ძირითად პრიორიტეტად უსაფრთხოების ნორმების განმტკიცებასა და მგზავრის კომფორტის მაქსიმალურად უზრუნველყოფას განსაზღვავენ. ავიაკომპანიებმა კი საპირისპიროდ, მგზავრისთვის ზედიზედ რამდენიმე არასასიამვონო გადაწყვეტილება მიიღეს ბოლო წლებში. ბორტზე საკვები (განსაკუთრებით ცხელი) სულ უფრო და უფრო იშვიათობა ხდება. ნავთობ-ბაზარზე არსებულმა გაუთავებელმა ცვლილებებმა და ერაყის ომმა, ზედიზედ რამდენჯერმე აწია საწვავზე ფასი და შესაბამისად გაიზარდა მგზავრობის ფასიც. აეროპორტებმა უსაფრთხოების გამო მომსახურება გააძვირეს, რაც ასევე მგზავრობის ბილეთებში აისახა. 11 სექტემბრის მოვლენებმა ერთდროულად რამდენიმე უკმაყოფილება წარმოშვა. დაიწყო გაუთავებელი ჩხრეკები, რომელსაც, სხვათა შორის, ექსპერტების აზრით, დიდი შედეგი არ მოაქვს, ვინაიდან თვითმფრინავებში პერიოდულად მაინც ხვდება "აკრძალული" ნივთები. ამავე კატასტროფის გამო დაიხურა რამდენიმე ავიაკომპანია, რამაც ავიაგადამზიდავებში ჯერ პანიკა, შემდეგ კი, გამსხვილების თვალსაზრისით, გაერთიანებები გამოიწვია. გიგანტებმა წვრილი ავიაკომპანიები შთანთქეს და აღმოჩნდა, რომ, თუ ადრე რომელიმე ქვეყნის პატარა ქალაქში მსხვილი ავიაგადამზიდავის "ბოინგით" ან "ეარბასით" ჩაფრინდებოდით კომფორტულად, დღეს ამ რეისის ოპერატორი რომელიმე პატარა ავიაკომპანიაა, რომელიც "ბოინგის" ნაცვლად, მაგალითად, პატარა "ფოკერით" გაფრენთ, ანუ შიში და დისკომფორტი მეტია. ამავე გაერთიანებების გამო არაერთხელ მოეწყო გაფიცვებიც, რამაც რანდენჯერმე სრულად არია გრაფიკები. ყოფილა ისეთი შემთხვევებიც, როცა თავად ავიაკომპანიებს უჭირდათ განახლებული და გაფართოებული ავიარეისების მომსახურება. ეს დღესაც ხდება ხოლმე და სწორედ ამის გამო აეროპორტებში, ალბათ, დღე არ გავა, რომ რეისების გრაფიკი არ დაირღვეს. ტრანზიტული მგზავრისთვის კი ამაზე საშინელება არაფერია.

ავიაკომპანიები ასეთი დაგვიანებების ან ჩავარდნილი რეისების გამო კომპენსაციას იხდიდნენ. თუმცა ბოლო წლებში კომპენსაციების თანხებმა ისეთ მაჩვენებელს მიაღწია, ავიაკომპანიებმა წუწუნი დაიწყეს. ნელ-ნელა ასეთი კომპენსაციებიც ამოვარდა პრაქტიკიდან, რასაც უკვე მართლა პანიკა მოჰყვა. ავიაციის მარეგულირებლებმა გადაწყვეტილება მიიღეს, რომ ასეთი პრობლემები კანონით მოეგვარებინათ. შედეგად, 2004 წლის თებერვალში ევროპის მინისტრთა საბჭომ დააწესა ნორმა – რა დროით შეუძლია დაგვიანება ავიაკომპანიას და როგორ უნდა მოითხოვოს მგზავრმა კომპენსაცია. ავიაკომპანიებმა საჰაერო ტრანსპორტის საერთაშორისო ასოციაციისა და რამდენიმე არასამთავრობო ორგანიზაციის მეშვეობით, აღნიშნული გადაწყვეტილება ლონდონის სასამართლოში გაასაჩივრეს, რომელმაც კომპეტენციის უკმარისობის გამო საქმე ევროპის უზენაეს სასამართლოში გადააგზავნა. ამ უკანასკნელმა კი მგზავრების ინტერესები გაითვალისწინა.

ერთი სიტყვით, დღევანდელი მდგომარეობით წესი ასეთია: თუ ავიაკომპანიამ რეისი დააგვიანა 5 საათით, ან ავიაკომპანია მგზავრს უარს ეუბნება ადგილების უკმარისობის გამო (ე.წ. ოვერბუქინგი), ის ვალდებულია ერთ მგზავრს გადაუხადოს 250 ევრო, თუ რეისის მანძილი არ აღემატება 1500 კილომეტრს, 3500 კილომეტრიან რეისზე – 450 ევრო, ხოლო უფრო შორს – 600 ევრო. ამასთანავე, ავიაკომპანია ვალდებულია აანაზღაუროს მგზავრის სასტუმროს, კვებისა და სატელეფონო საუბრების ხარჯებიც.

უცნობია, რა იქნება იმ შემთხვევაში, თუ ავიაკომპანიები ისპეკულირებენ არასასურველი ამინდით. ყოველ შემთხვევაში, ასეთ მომენტზე გადაწყვტილებაში არაფერია ნათქვამი. შესაძლოა ამით ავიაკომპანიების ინტერესებიც გაითვალისწინეს. საჰაერო ტრანსპორტის საერთაშორისო ასოციაცია (IATA) ხელწამოსაკრავი ორგანიზაცია ნამდვილად არ არის. ის 270 ავიაკომპანიას აერთიანებს 130 ქვეყნიდან, ანუ მოიცავს მსოფლიო ავიაგადაზიდვების 98 პროცენტს. გამომდინარე იქიდან, რომ საქართველო ავიაციის საერთაშორისო ორგანიზაციების რეკომენდაციებსა და გადაწყვეტილებებს ემორჩილება (ფურცელზე მაინც) და ამასთან ქართული ავიაცია ევროპის სივრცეში გეგმავს ინტეგრირებას, ამ სიახლის დანერგვა, ალბათ, აქაც მოუწევთ. საინტერესოა, გადაუხდიათ თუ არა ქართულ ავიაკომპანიებს მსგავსი კომპენსაცია?

თამაზ გაიაშვილი "ჯორჯიან ეარვეისის" პრეზიდენტი: **"ამის შესახებ არაფერი ვიცი. ჯერ სათანადო დოკუმენტაცია ჩვენთან არ მოსულა. კონკრეტულად ასეთი შემთხვევები ჩვენს ავიაკომპანიაში არ მახსენდება."**

გიორგი კოდუა, "ნაციონალური ავიახაზების" პრეზიდენტი: **"ეს გადაწყვეტილება ეხება ევროპულ ოპერატორებს და მათ, ვინც სპეციალურ საერთაშორისო ორგანიზაციებში არიან გაწევრიანებული. ჩვენ რომ ევროპის მასშტაბით მიღებული გადაწყვეტილებები გვეხებოდეს, მაშინ ჩვენი ავიაკომპანიისთვის გაცილებით იოლი იქნებოდა, მაგალითად, "ჯორჯიან ეარვეისისთვის" სასამართლო პროცესის მოგება, დემპინგური ფასების შემოტანის თაობაზე. იმ შემთხვევაში, თუ რეისი გადაიდო, ჩვენ ვასრულებთ იმას, რაც მგზავრთან ხელშეკრულებაში (ბილეთში) გვიწერია - გავამგზავრებთ ნებისმიერი სხვა რეისით, ფასის მიუხედავად, და თუ ღამისთევა იქნება საჭირო, სასტუმროს ხარჯებსაც ავანაზღაურებთ. ასეთი შემთხვევები ყველა ავიაკომპანიას აქვს და ეს ჩვეულებრივი ამბავია. თუმცა კომპენსაცია და გრაფიკით განსაზღვრული პირობები გაცილებით მკაცრია, მაგრამ ეს ჩვენ არ გვეხება."**

საინტერესოა კიდევ ერთი რამ - გადაიხდიან თუ არა ის ავიაკომპანიები, რომლებიც ხსენებულ სივრცეში შედიან, მაგალითად, ქართველი მგზავრებისთვის კომპენსაციას? ცნობისთვის: გასული წლის 25 დეკემბერს გერმანულმა "ლუფთჰანზამ" რეისი გადადო და მგზავრები KLM–ითა და "ჯორჯიან ეარვეისით" გაამგზავრა. 26 დეკემბერს კი KLM–მა გადადო რეისი. ორივე შემთხვევაში მგზავრები უპრობლემოდ გაამგზავრეს სხვა რეისებით, თუმცა კომპენსაციაზე საუბარი არ ყოფილა. მაშინ არც ზემოხსენებული დოკუმენტი იყო ძალაში.


# საქართველოს აუდიტორული და საკონსულტაციო კომპანია
# აუდიტორული დასკვნა
## მოქალაქეთა პოლიტიკური გაერთიანება "ერთიანი ნაციონალური მოძრაობის" პოლიტიკურ საბჭოს

ჩვენ დაგვევალა მოქალაქეთა პოლიტიკური გაერთიანება "ერთიანი ნაციონალური მოძრაობის" (შემდგომში ორგანიზაცია) ქონებრივი მდგომარეობის ანგარიშის აუდიტი 2005 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით და მასთან დაკავშირებული შემოსავლებისა და ხარჯების უწყისების აუდიტი. ფინანსურ ანგარიშგებაზე პასუხისმგებელია ორგანიზაციის ხელმძღვანელობა, ჩვენ კი გვევალება ჩვენ მიერ ჩატარებულ აუდიტის საფუძველზე გამოვხატოთ მოსაზრება წარმოდგენილი ფინანსური ანგარიშგების შესახებ და გავცეთ დასკვნა.

აუდიტს წარვმართავდით საქართველოში მოქმედი აუდიტის სტანდარტების შესაბამისად. აუდიტის ჩატარების პროცედურა მოითხოვს სამუშაოს იმგვარად დაგეგმვასა და ჩატარებას, რომ მივიღოთ დასაბუთებული გარანტია იმისა, შეიცავს თუ არა აღნიშნული ფინანსური ანგარიშგება არსებით უზუსტობებს. აუდიტი ითვალისწინებს მტკიცებულებების შემოწმებას ტესტირების საფუძველზე ფინანსური ანგარიშგების თანხებისა და ახსნა-განმარტებების დადასტურების მიზნით. აუდიტი აგრეთვე გულისხმობს ფინანსური ანგარიშგების მომზადებისას ხელმძღვანელობის მიერ გამოყენებული ბუღალტრული აღრიცხვის პრინციპებისა და მნიშვნელოვანი ბუღალტრული შეფასებების სისწორის შეფასებას, აგრეთვე წარმოდგენილი ფინანსური ანგარიშგების შესაბამისად მთლიანად. გვჯერა, რომ ჩვენ მიერ ჩატარებული აუდიტი გვაძლევს დასაბუთებულ საფუძველს დასკვნის შესადგენად.

ჩვენი აზრით, ფინანსური ანგარიშგება უტყუარად და სამართლიანად ასახავს ორგანიზაციის ფინანსურ მდგომარეობას 2005 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით, მისი საქმიანობის შედეგებსა და ფულადი სახსრების მოძრაობას იმ საანგარიშგებო წლისათვის, რომელიც დასრულდა მოცემული თარიღით.

**საქართველოს აუდიტორული და საკონსულტაციო კომპანია**
**თბილისი, საქართველო**
**23 იანვარი 2006 წელი**

მოქალაქეთა პოლიტიკური გაერთიანება "ერთიანი ნაციონალური მოძრაობა"
ქონებრივი მდგომარეობის ანგარიში
გარდა სპეციალურად ნახსენები შემთხვევებისა, ყველა თანხა მოყვანილია ერთეულ ლარში

**ქონებრივი მდგომარეობის ანგარიში**

| | ახსნა-განმარტება | 2005 | 2004 |
|---|---|---|---|
| აქტივები | | | |
| მოკლევადიანი აქტივები | | | |
| ფულადი სახსრები | 4 | 2.692 | 18.453 |
| ძირითადი საშუალებები (ნეტო) | 5 | 279.525 | 289.924 |
| სულ აქტივები | | 282.217 | 308.377 |
| ფონდები | | | |
| სპეციალური ფონდი | 6 | 282.217 | 308.377 |
| სულ ფონდები | | 282.217 | 308.377 |
| სულ ვალდებულებები და ფონდები | | **282.217** | **308.377** |

თანდართული ახსნა-განმარტებები წარმოადგენენ ფინანსური ანგარიშგების განუყოფელ ნაწილს

**შემოსავლებისა და ხარჯების ანგარიში**

| | ახსნა-განმარტება | 2005 | 2004 |
|---|---|---|---|
| ფულადი შემოწირულობები | 7 | 144.611 | 360.400 |
| საწევრო გადასახადები | | 227.707 | 0 |
| ფულადი შემოწირულობები საარჩევნო კამპანიის ფონდში | | 238.300 | 0 |
| | | **610.618** | **360.400** |
| საკომუნიკაციო ხარჯი | | 37.62 | 0 9.854 |
| კომუნალური ხარჯი | | 17.874 | 10.256 |
| საოფისე ხარჯები | | 69.963 | 4.311 |
| ხელფასის ხარჯი | | 1.930 | 1.200 |
| ხელფასთან დაკავშირებული გადასახადების ხარჯი | | 348 | 594 |
| საკანცელარიო საქონელი | | 22.222 | 2.712 |
| იჯარა | | 0 | 8.905 |
| წარმომადგენლობითი ხარჯი | | 15.053 | 23.006 |
| სატრანსპორტო ხარჯი | | 167.439 | 8.979 |
| მივლინება | | 0 | 2.927 |
| გრძელვადიანი აქტივების შეძენა | 8 | 21.294 | 271.505 |
| ბეჭდვის ხარჯი | | 366 | - |
| სარეკლამო მომსახურება | | 26.717 | - |
| ღონისძიება | | 7.449 | - |
| საარჩევნო კამპანიის ხარჯები | 9 | 234.371 | - |
| შემომწირველთათვის თანხის უკან დაბრუნება | | 3.929 | |
| ხარჯების კორექტირება | | -196 | |
| მთლიანი ხარჯი | | **626.379** | **344.249** |
| ფულადი სახსრები წლის დასაწყისში | | 18.453 | 2.302 |
| ფულადი სახსრები წლის ბოლოს | | 2.692 | 18.453 |

თანდართული ახსნა-განმარტებები წარმოადგენენ ფინანსური ანგარიშგების განუყოფელ ნაწილს.


მთავარი რედაქტორი მამუკა ფაჩუაშვილი. პაატა ვეშაპიძე (მმართველი რედაქტორი), დავით ნინიკაშვილი (პასუხისმგებელი რედაქტორი), ვიქტორ გათიკაშვილი (გენერალური დირექტორი), რეკლამის და მარკეტინგის მენეჯერი ირაკლი ლეჟავა . დიზაინი: გიორგი ხმალაძე.
კომპიუტერული ცენტრი: თამაზ ჩხაიძე (მენეჯერი), მაია ყიასაშვილი, დიმიტრი შალუტაშვილი, გიორგი ბერიაშვილი, თენგიზ ქირია, პაატა ქორიძე, ლელა წიქარიშვილი. სტილი: ნანა ჯოხარიძე, ნინო სვანიძე, ხათუნა გოგიშვილი, ძიძია ძნელაძე, ლია თოფურია

# ირანული გაზის იმედად

პირველი გვერდიდან

ირანიდან გაზის იმპორტის დაწყების საკითხი გუშინ მთავრობის საგანგებო თათბირის მთავარი თემა იყო. მინისტრებთან შეხვედრაზე ქვეყნის პრეზიდენტი მიხეილ სააკაშვილი ირანიდან გაზის ფასის ხელსაყრელობაზე საუბრობდა, თუმცა მას ირანული გაზის ღირებულება არ დაუკონკრეტებია. **"ამ ეტაპზე, ჩვენთვის ირანული გაზის ფასი ძალიან ხელსაყრელია. თუ მომავალში მსგავსი ფორსმაჟორული ვითარება განმეორდება, გაზის იმპორტირება ასეთივე მექანიზმით განხორციელდება. რუსეთში უნდა იცოდნენ, რომ საქართველოს ბუნებრივი აირის ალტერნატიული გზა უკვე აქვს,"** - თქვა პრეზიდენტმა.

**"ამფეთქებლების ჯინაზე საზოგადოებაში პანიკა და დაბნეულობა არ არის. ჩვენმა ხალხმა საქართველოს არაკეთილმოსურნეებს უჩვენა, რომ ძალიან მაგარი ხალხი ვართ,"** - აღტაცებას ვერ მალავდა სააკაშვილი.

ინფრასტრუქტურა 2-3 დღეში იქნება მზად. ამის შესახებ ექსპერტმა თემურ გოჩიტაშვილმა განაცხადა. საქართველოს ენერგეტიკის მინისტრის მიერ ირანში მიღწეული შეთანხმების შემდეგ, ინფრასტრუქტურის გადაწყობა აუცილებელი გახდა. **"ირანის გაზს აზერბაიჯანი მიიღებს, ხოლო აზერბაიჯანი, თავის მხრივ, საკუთარი მარაგებიდან ბუნებრივ აირს საქართველოს მიაწვდის, ანუ დანაკლისს, რომელიც აზერბაიჯანის მიერ საქართველოსთვის მიწოდებული გაზით წარმოიქმნება, ირანი შეავსებს,"** - განაცხადა ექსპერტმა. მისივე თქმით, იმის გამო, რომ საქართველოში ირანული კალორიული გაზი არ შემოვა და იგი აზერბაიჯანში დარჩება, აზერბაიჯანი საქართველოს კალორიულობის ანაზღაურების მიზნით, შესაბამისი ზედმეტი მოცულობის ბუნებრივ აირს მიაწვდის.



*თბილისის გარეუბნების მცხოვრებლებმა შეშა უფასოდ მიიღეს.*

ირანული გაზის მიღებამდე კი საქართველო ბუნებრივი აირით კვლავ აზერბაიჯანიდან მარაგდება. გაზი ხმარდება თბილისის მოსახლეობის ნაწილს და მეოთხე ენერგობლოკის მუშაობას, რომელიც 110-130 მეგავატ ენერგიას გამოიმუშავებს.

გუშინ "გაზექსპორტის" წარმომადგენელი დავით მორჩილაძე ჩრდილოეთ ოსეთში გაემგზავრა, სადაც გაზსადენზე მიმდინარე სამუშაოებს შეამოწმებს. მორჩილაძის ინფორმაციით, რუსეთმა შესაძლოა საქართველოსთვის გაზის მიწოდება შაბათ-კვირას აღადგინოს. **"საქმე მაღალი წნევის გაზსადენთან გვაქვს, ამიტომაც უსაფრთხოების ზომების დაცვა აუცილებელია. ვცდილობთ, გაზმომარაგების განახლება დავაჩქაროთ,"** - განაცხადა დავით მორჩილაძემ თბილისიდან გამგზავრებამდე.

რაც შეეხება ქვეყნის ელექტრომომარაგების მდგომარეობას, გუშინ, გასულ დღესთან შედარებით, უკეთესი სიტუაცია იყო, თუმცა ქვეყანას მაინც სერიოზული დეფიციტის პირობებში უწევდა მუშაობა. კერძოდ: მეცხრე ენერგობლოკის ჩართვა ვერ მოხერხდა; ქართველი ენერგეტიკოსების ინფორმაციით, მეოთხე ენერგობლოკი სრული დატვირთვით მუშაობს. ამასთან, აზერბაიჯანიდან 50 მეგავატი სიმძლავრის იმპორტი ხორციელდება. ჩართულია ასევე "სალხინოს" 220-კილოვოლტიანი გადამცემი ხაზი და "დარიალი", საიდანაც რუსეთიდან ელექტროენერგიის იმპორტი ხორციელდება.

როგორც "თელასში" განაცხადეს, უპირატესობა მარცხენა სანაპიროს უბნებს მიენიჭება. არგუმენტი უცვლელია: მარცხენა სანაპიროზე მცხოვრებ მოსახლეობას ბუნებრივი აირი არ მიეწოდება. გუშინ კომპანია დედაქალაქში 450 მეგავატ ელექტროენერგიას ანაწილებდა. აქედან, 120-130 მეგავატი იმერეთის ჰესების მიერ გამომუშავებული ელექტროენერგიაა, 80 მეგავატი - მეოთხე ენერგობლოკის, 50 მეგავატი - აზერბაიჯანიდან იმპორტირებული ენერგიაა, ხოლო დანარჩენი - ჟინვალჰესის, ხრამჰესის, ორთაჭალჰესის და ზაჰესის მიერ გამომუშავებული დენია. შედეგად, თბილისის ცენტრალური და გარეუბნები გუშინ 2-3 საათიანი მონაცვლეობით ირთვებოდნენ.

რაც შეეხება მეცხრე ენერგობლოკს, მის ჩართვას სპეციალისტები გუშინ დილიდან უშედეგოდ ცდილობდნენ. **"მეცხრე ენერგობლოკზე მომხდარი სისტემური რყევები საკმაოდ ძლიერი აღმოჩნდა. ამასთან, ბუნებრივი აირის წნევის დარეგულირებასაც ველოდებით. სავარაუდოდ, ენერგობლოკი დღეს დილით ჩაირთვება,"** - განაცხადეს "თელასში" და იქვე ისიც დასძინეს, რომ, როგორც კი საქართველოში გაზმომარაგება აღდგება, კომპანია უპრობლემოდ შეძლებს მოსახლეობის დენით მომარაგებას. ამ შემთხვევაში, კომპანიას დედაქალაქის სრული მომარაგებისათვის 450 მეგავატი ენერგია ეყოფა.

გუშინ ენერგეტიკოსები ქარიშხლის შედეგად დაზიანებული მაღალი ძაბვის ელექტროგადამცემი ხაზის "იმერეთის" აღდგენასაც ცდილობდნენ, თუმცა, მეცხრე ბლოკის მსგავსად, აქაც მცდელობა უშედეგოდ დასრულდა. წაქცეული ანძის მონტაჟს კომპანია "საქრუსენერგოს" წარმომადგენლები დღეიდან დაიწყებენ. გუშინ კი სპეციალისტებმა სარეზერვო ანძა დაამონტაჟეს. როგორც კომპანია "საქრუსენერგოს" გენერალური დირექტორის პირველმა მოადგილემ შოთა მაისურაძემ განაცხადა, პარალელურად სარემონტო სამუშაოები "კავკასიონის" ელექტროგადამცემ ხაზზეც მიმდინარეობს. მისი თქმით, სარეაბილიტაციო სამუშაოები ორივე ხაზზე ერთდროულად დასრულდება, რასაც, სავარაუდოდ, 2-3 კვირა დასჭირდება.

თითქმის უცვლელი მდგომარეობაა რეგიონებში, სადაც, სიმძლავრის ნაკლებობის გამო, ელექტრომომარაგება, პრაქტიკულად, ვერ ხორციელდება. გუშინ კახეთში ელექტროენერგია მხოლოდ თელავს მიეწოდებოდა. იმერეთისა და რაჭა-ლეჩხუმ-ქვემო სვანეთის რეგიონში კი დენით მხოლოდ სასიცოცხლოდ მნიშვნელოვანი ობიექტები მარაგდებოდა. უნდა აღინიშნოს, რომ ყაზბეგის რაიონს ბუნებრივი აირის მიწოდება, სავარაუდოდ, დღემდე შეუნარჩუნდება. როგორც საქართველოს გაზის საერთაშორისო კორპორაციაში აცხადებენ, ეს გაზსადენებში ბუნებრივი აირის წნევის დარეგულირების საფუძველზე ხერხდება.

# ენერგოკრიზისმა მეპურეებს პრობლემები შეუქმნა

პირველი გვერდიდან

მთვრალაშვილის ინფორმაციით, ამ ეტაპზე იმპორტიორებს, ძირითადად, საწვავი თურქმენეთიდან და ევროპიდან შემოაქვთ, რადგან აზერბაიჯანის ქარხანა გაჩერებულია და მისი ტექნიკური გადაიარაღება მიმდინარეობს. ნავთობპროდუქტების იმპორტი ბაქოდან დაახლოებით 20 თებერვლიდან განახლდება.

ენერგოკრიზისის სიმძიმე, ნავთობიმპორტიორების შემდეგ, ყველაზე მეტად პურ-პროდუქტების მწარმოებლებმა იგრძნეს. ექსპერტები ვარაუდობენ, რომ თუ ენერგოკრიზისი გაგრძელდა, შესაძლოა ქარხნებმა წარმოების სიმძლავრე შეზღუდონ და ბაზარზე პურის დეფიციტი წარმოიქმნას, რადგან პურის ქარხნების უმეტესობა დიზელის საწვავზე გადავიდა. დიზელის საწვავის ფასი კი ბუნებრივი აირის ფასს ხუთჯერ აღემატება. 1 კუბური მეტრი ბუნებრივი აირი 36 თეთრი ღირს, ხოლო ერთი ლიტრი დიზელი - 1,35-1,50 ლარი. მეწარმეთა გათვლებით, ენერგოკრიზისის პირობებში ერთი კილოგრამი პურის თვითღირებულება 1 ლარს გაუტოლდა.

პურპროდუქტების საწარმო "იფქლის" დირექტორის შაქრო ბაკურიძის თქმით, დეფიციტის აღმოსაფხვრელად მისმა კომპანიამ პურის წარმოება 12 პროცენტით გაზარდა, ხოლო პროდუქციის თვითღირებულება 8 პროცენტით გაიზარდა. ბაკურიძე იმასაც დასძენს, რომ დედაქალაქში, არ არის გამორიცხული, პურის ფასი 100 პროცენტით გაიზარდოს.

თბილისის №4 პურის ქარხნის დირექტორის მალხაზ დოლიძის განმარტებით, მიუხედავად იმისა, რომ პურის თვითღირებულება გაიზარდა, მაწარმეები პურის ფასის შენარჩუნებას შეეცდებიან, რადგან სოციალურად დაუცველი მოსახლეობისათვის ეს მძიმე ტვირთი იქნება.

პურის მეწარმეთა კავშირის – "მეპურეთა სოლიდარობის" ხელმძღვანელის ვახტანგ ზენაიშვილი კი ვარაუდობს, რომ, პურის გაძვირების თავიდან აცილების მიზნით, შესაძლოა დისტრიბუციის რგოლი ამოვარდეს და პურის ქარხნებმა სავაჭრო ქსელი თავად მოამარაგონ. თუმცა ზენაიშვილი არც იმას გამორიცხავს, რომ ფასის შენარჩუნების პირობებში, პურის ქარხნებმა წარმოების სიმძლავრე შეამცირონ.

რაც შეეხება ფქვილის ფასს, როგორც "24 საათს" წისქვილკომბინატ "ალაფის" ფინანსურმა მენეჯერმა განუმარტა, ენერგოკრიზისი ფქვილის ფასზე არ იმოქმედებს, რადგან ამ პროდუქტის ფასი მსოფლიო ბაზარზე მიმდინარე პროცესებზეა დამოკიდებული. მსოფლიო ბაზარზე კი ამ მხრივ სტაბილური მდგომარეობაა - 1 ტონა ფქვილის ფასი უკვე ხუთი თვეა უცვლელია და 460 ლარია. შპს "ალაფს" ფქვილი, ძირითადად, რუსეთიდან და ყაზახეთიდან შემოაქვს. რაც შეეხება პურის ქარხნებს, ხომერიკის განმარტებით, ენერგოკრიზისის პირობებში ისინი დიზელის საწვავს მოიხმარენ და, აქედან გამომდინარე, პურის ფასის ზრდა გარდაუვალი გახდება.

კიდევ ერთი დეტალი: პრეზიდენტ მიხეილ სააკაშვილის ცნობილი გამოსვლის შემდეგ, რომელიც ენერგოკრიზისს მიეძღვნა, პურპროდუქტების მწარმოებლები პურის ფასის ზრდაზე ხმამაღლა ვერ საუბრობენ. არავის სურს, იყოს პირველი მერცხალი, რადგან კარგად იცის, რომ გაზაფხულს ვერ მოიყვანს და ენერგოკრიზისის სუსხი მისი ბიზნესისათვის დამღუპველი აღმოჩნდება.

უცხოეთი

# "ჰამასი" - პალესტინის არჩევნებში გამარჯვებული პარტია

პირველი გვერდიდან

ორგანიზაცია, რომელიც დასავლურმა სახელმწიფოებმა დიდი ხანია, რაც ტერორისტულ გაერთიანებათა ჯგუფს მიაკუთვნეს, ერთ პოზიციას ისრაელთან სამშვიდობო მოლაპარაკებების შესახებ არ იზიარებს. "ჰამას"-შიც არსებობენ შედარებით ზომიერი და უფრო რადიკალი წევრები, ხოლო რომელი ფრთა იტვირთებს დომინანტის ფუნქციას, ჯერჯერობით გაურკვეველია.

თუმცა, ერთი საინტერესო განცხადება "ჰამას"-ის მხრიდან უკვე არჩევნების შედეგების გამოცხადებისათანავე გაკეთდა.

**"ჩვენ ვაპირებთ შევცვალოთ დასავლეთის წარმოდგენა ჩვენს მოძრაობაზე. კავშირები დიდი ხანია, პრაქტიკულად, შეწყვეტილია და მათ, რასაკვირველია, არაფერი იციან ჩვენი მიდგომის შესახებ. აი, როდესაც დასავლეთი უკეთ გაგვიცნობს, რასაკვირველია, მათი პოლიტიკაც შეიცვლება ჩვენს მიმართ,"** - განაცხადა "ჰამას"-ის ოფიციალურმა წარმომადგენელმა სამი აბუ ზუჰრიმ.

ახლო აღმოსავლეთის კონფლიქტის გადაჭრაზე მომუშავე "ოთხეულმა" - აშშ, რუსეთი, გაერო და ევროკავშირი - უკვე მოუწოდეს საერთაშორისო საზოგადოებრიობას არჩევნების შედეგების ცნობისკენ, თუმცა, ფარული გაფრთხილება მათ მოწოდებაში მაინც ჟღერდა. დასავლური "ოთხეული" პალესტინის ახალ ხელისუფლებასთან, რომლის ფორმირებაც მოუწევს გამარჯვებულ "ჰამას"-ს, მხოლოდ იმ შემთხვევაში ითანამშრომლებს, თუკი პალესტინის ავტონომიის ადმინისტრაციის დამოკიდებულება შეიცვლება ისრაელის მიმართ. ისრაელი კი, თავის მხრივ, არ გამორიცხავს პალესტინის ახალ ხელისუფლებასთან ურთიერთობას, მხოლოდ ყოველდღიური ურთიერთობის საკითხები პრობლემათა წინა პლანზე წამოწევის მიხედვით განიხილება. რაც შეეხება სამშვიდობო მოლაპარაკებების განახლებას, ოფიციალური თელ-ავივი ამას მხოლოდ იმ შემთხვევაში დათანხმდება თუკი "ჰამას"-ი უარს იტყვის ძალადობასა და ისრაელის სახელმწიფოს განადგურების პროგრამაზე.

არჩევნების შედეგების გამოცხადების შემდეგ აშშ-ს სახელმწიფო მდივანს კონდოლიზა რაისს ჰქონდა სატელეფონო საუბრები ახლო აღმოსავლეთის კონფლიქტის გადაწყვეტაზე მომუშავე "ოთხეულის" წარმომადგენლებთან. რაისის თქმით, "ჰამას"-მა უნდა აღიაროს ისრაელის უფლება სახელმწიფოს არსებობის თაობაზე და გააკეთოს არჩევანი - იქცეს პოლიტიკურ ორგანიზაციად ან დარჩეს ტერორისტულ გაერთიანებად.

მაგრამ, როგორც "ბი-ბი-სი" იუწყება, "ჰამას"-ი არასოდეს დათანხმდება ისრაელის ამ მოთხოვნას, რაც მოლაპარაკებების დაწყებას მომავალში თითქმის გამორიცხავს. თუმცა, თუ გავითვალისწინებთ იმასაც, რომ ისრაელის მხარე მოლაპარაკებების წარმოების სურვილით არც პალესტინის წინა ხელისუფლებასთან ურთიერთობისას გამოირჩეოდა, შეიძლება ითქვას, ზოგადი სურათის მნიშვნელოვანი ცვლილება არცაა მოსალოდნელი.

რაც შეეხება პალესტინის ავტონომიის საკანონმდებლო ორგანოში ურთიერთთანამშრომლობის საკითხებს, "ჰამას"-ი აცხადებს, რომ მზადაა ითანამშრომლოს წინამორბედ მმართველ "ფათჰ"-თან. ეს უკანასკნელი კი ამტკიცებს, რომ არ შევა ახალი ხელისუფლების შემადგენლობაში, არამედ დაიკავებს "ლოიალური ოპოზიციის" ნიშას. პრემიერ-მინისტრმა აჰმედ კურეიმ კი უკვე გააკეთა თანამდებობის დატოვების შესახებ განცხადება.

*24 საათი*

# რუსეთი თურქეთს ბუნებრივი აირის მიწოდებას უმცირებს

რუსეთმა შავი ზღვის ფსკერზე გამავალი გაზსადენით თურქეთს ბუნებრივი აირის მიწოდება 30 პროცენტით შეუმცირა.

როგორც რადიო "თავისუფლება" იუწყება, თურქეთის ჩრდილო-დასავლეთში მდებარე 30 უმსხვილეს საწარმოს, მათ შორის "FORD"-ის და "Hyundai Motors"-ის ქარხნებს, გაზის მიწოდება შეუწყდა. გუშინ თურქეთის ენერგეტიკის და ბუნებრივი რესურსების მინისტრმა ჰილმი გიულერმა განაცხადა, რომ ირანიდან გაზის მიწოდება 80 პროცენტით შემცირდა. დღეში საჭირო 26 მილიონი კუბური მეტრის ნაცვლად ქვეყანა 5-6 მილიონ კუბურ მეტრს იღებს. გიულერმა აღნიშნა, რომ უკრაინიდან რუსული გაზის მიწოდება ასევე ნორმას ვერ აღწევს.

მისი აზრით, ბუნებრივი აირის მიწოდების შემცირება ევროპასა და ირანში სიცივეებითაა გამოწვეული, რამაც იმ ქვეყნების ტერიტორიაზე, რომელზეც მაგისტრალური გაზსადენები გადის, ბუნებრივი აირის მოხმარება გაზარდა. სახელმწიფო მილსადენი კომპანიის "BOTAS"-ის წარმომადგენელმა განაცხადა, რომ გაზსაცავების ქსელის უქონლობის გამო თურქეთს ბუნებრივი აირის მარაგი არ გააჩნია, ამიტომ უახლოეს ხანებში, შესაძლოა, ქვეყნის საწარმოთა უმრავლესობა გაჩერდეს. თუმცა, თურქეთის ენერგეტიკის და ბუნებრივი რესურსების მინისტრი ამტკიცებს, რომ ქვეყანას ენერგეტიკული კრიზისი არ ემუქრება.

გიულერის თქმით, ქვეყნის ხელმძღვანელობამ რუსეთის ხელისუფლებას თურქეთისთვის გაზის მიწოდების გაზრდის თხოვნით მიმართა. თურქეთის ხელისუფლება ასევე აზერბაიჯანისგან გაზის შეძენის შესაძლებლობას განიხილავს.

*ინტერპრესნიუსი*

## ორი სიტყვით

**საერთაშორისო ეკონომიკა.** გუშინ რუსეთისა და შვეიცარიის წარმომადგენლებმა ხელი მოაწერეს რუსეთის ვაჭრობის მსოფლიო ორგანიზაციაში გაწევრიანების შესახებ ორმხრივი მოლაპარაკებების დასკვნით დოკუმენტს, - ამის შესახებ, რუსეთისა და შვეიცარიის ეკონომიკის მინისტრებმა საკურორტო ქალაქ დავოსში მიმდინარე მსოფლიო ეკონომიკური ფორუმზე განაცხადეს. ამგვარად, ვმო-ში რუსეთის გაწევრიანებაზე მომუშავე 58 ქვეყნიდან, მხოლოდ სამი ქვეყანა დარჩა, რომლებთანაც მოლაპარაკებები გრძელდება. ესენია – აშშ, კოლუმბია და ავსტრალია. **რია ნოვოსტი**

■ ■ ■

**სამხრეთ ამერიკა.** ბოლივიის პრეზიდენტმა ევო მორალესმა წინასაარჩევნო დაპირება შეასრულა და თვიური ხელფასი ორჯერ შეიმცირა. სახელმწიფოს მეთაურის ჯამაგირი ამჟამად 1 800 ამერიკულ დოლარს ოდნავ აღემატება. ახლა ბოლივიაში ყველა სახელმწიფო მოსამსახურის ხელფასები უნდა გადაიხედოს, რადგან არ შეიძლება, ჩინოვნიკებს ქვეყნის პრეზიდენტზე მეტი ხელფასი ჰქონდეთ. მორალესის თქმით, დაზოგილ თანხას ბოლივიის მთავრობა ქვეყანაში სამედიცინო მუშაკთა რიცხვის ზრდას მოახმარს. **ლენტა.რუ**

■ ■ ■

**სამხრეთ-აღმოსავლეთ აზია.** სამხრეთ კორეის საგარეო საქმეთა მინისტრმა განაცხადა, რომ მისი ინფორმაციით, ჩრდილოეთ კორეის ბირთვული კრიზისის შესახებ ექვსმხრივი მოლაპარაკებების განახლება თებერვალში იქნება შესაძლებელი. ამასთან, მინისტრმა აღნიშნა, რომ ფხენიანი მოლაპარაკებათა მაგიდას რაიმე სახის წინაპირობების გარეშე უნდა დაუბრუნდეს. **როიტერსი**

■ ■ ■

**გერმანია.** გუშინ 75 წლის ასაკში გარდაიცვალა გერმანიის ყოფილი პრეზიდენტი იოჰანეს რაუ. ექს-პრეზიდენტის პრეს-სამსახურის ინფორმაციით, რაუმ ბერლინში საკუთარ ბინაში დალია სული. გარდაცვალების მიზეზებზე არაფერს იუწყებიან. თუმცა, ცნობილია, რომ ბოლო წლებში ყოფილ პრეზიდენტს გული აწუხებდა. იოჰანეს რაუ პრეზიდენტად 1999 წელს აირჩიეს და ამ თანამდებობაზე ხუთი წლის განმავლობაში იმყოფებოდა. **24 საათი**

საქართველოს ტელეკომი
TELECOM GEORGIA

„საქართველოს ტელეკომმა" დაიწყო ახალი პროექტი

„ცხელი სადილი კათარზისის ხანდაზმულთათვის".

თუ თქვენ გჭირდებათ საზღვარგარეთ დარეკვა, დარეკეთ 8-10-ით (ტარიფი უცვლელია).

ამით თქვენ დაეხმარებით სათნოების სახლი „კათარზისის" უფასო სასადილოს. ყოველდღიურად, თქვენი შემწეობით, რამდენიმე ასეული მოხუცებული მიიღებს სრული რაციონის ცხელ სადილს.

ყოველი ახალი ზარი კიდევ ერთი ადამიანის დახმარების საწინდარია.

ერთად ვაკეთოთ კეთილი საქმე 8-10

რუსთაველის გამზ. 31 ტელ.: 442828 www.telecom.ge

# უნგრეთი და ხორვატია გაზის ალტერნატიულ წყაროებს ეძებენ

უნგრეთმა და ხორვატიამ გადაწყვიტეს, რუსული გაზი აფრიკულით შეცვალონ. უნგრეთის და ხორვატიის მთავრობათა მეთაურებმა ხელი მოაწერეს მემორანდუმს ენერგეტიკის დარგში თანამშრომლობის შესახებ. დოკუმენტში დაფიქსირებულია ორი ქვეყნის მისწრაფება, შეამცირონ რუსული გაზის იმპორტზე დამოკიდებულება.

უკრაინის ტერიტორიის გავლით, რუსული გაზის მიწოდების მოცულობის შემცირებამ უნგრეთი აიძულა, ცისფერი საწვავის მიღების ალტერნატიული გზები გამოეძებნა. ამჟამად, ჩრდილოეთ აფრიკიდან თხევადი ბუნებრივი აირის შემოტანის შესაძლებლობა განიხილება, თხევად გაზს ხორვატიის სანაპიროზე მიიტანენ, საიდანაც მისი უნგრეთში ტრანსპორტირება მოხდება. ხორვატიის პრემიერ-მინისტრ ივო სანადერის თქმით, თხევადი აირისთვის საჭირო ტერმინალის მშენებლობის პროექტი, რომელიც დაახლოებით 1 მილიარდი ევრო დაჯდება, მთავრობას იანვრის ბოლოს, ან თებერვლის დასაწყისში წარედგინება. სანადერმა დააზუსტა, რომ პროექტს შესაძლოა, სხვა ქვეყნებიც შეუერთდნენ, კერძოდ, სლოვაკეთი და ავსტრია, რომლებიც ასევე რუსეთ-უკრაინის გაზის კონფლიქტზე არიან დამოკიდებულები. რუსეთიდან გაზის იმპორტის ალტერნატიულ გზებს პოლონეთიც ეძებს.

პოლონეთის ეკონომიკის სამინისტროს სტატს-მდივანმა განაცხადა, რომ პოლონელი ჩინოვნიკები გაზის წყაროების დივერსიფიკაციის გზებს ეძებენ. კერძოდ, მისი თქმით, ტექნიკურად შესაძლებელია ნორვეგიიდან პოლონეთის ტერიტორიამდე ბალტიის ზღვის ფსკერზე გაზსადენის მშენებლობა. პოლონეთი ყოველწლიურად 14 მილიარდ კუბურ მეტრ გაზს მოიხმარს, აქედან 9 მილიარდს ის რუსეთიდან იღებს.

*ინტერპრესნიუსი*

## ავსტრიის პოლიცია გაქცეულ ქართველებს ეძებს

ავსტრიის ქალაქ ბლუდენცის პოლიციის წინასწარი დაკავების საკნიდან ოთხი დაკავებული გაიქცა. მათგან სამი საქართველოს მოქალაქეა, ერთი კი - რუსეთის.

ბლუდენცის პოლიციის ინფორმაციით, ერთ-ერთმა პატიმარმა სამორიგეო ნაწილში, სადაც დაკავებულები იმყოფებოდნენ, პატარა ხერხი შეიტანა. პატიმრები რამდენიმე დღის მანძილზე ხერხავდნენ ფანჯრის გისოსებს, რის შემდეგაც გადაბმული პირსახოცების და ზეწრების დახმარებით ხუთი მეტრის სიმაღლიდან გარეთ გააღწიეს.

როგორც ბლუდენცის პოლიციის წარმომადგენელმა მანფრედ ბლიერნმა განაცხადა, გაქცეულები არალეგალები იყვნენ და მათი დაკავება ამის გამო მოხდა. მათ ქვეყნიდან გაძევება ემუქრებოდათ. ორი არალეგალის ბედი უკვე გადაწყვეტილი იყო - სადეპორტაციო სამსახურმა ავსტრიიდან მათი გაძევების შესახებ გადაწყვეტილება მიიღო. მიუხედავად იმისა, რომ ჯერჯერობით გადაწყვეტილი არ იყო დანარჩენი ორი არალეგალის ბედი, პოლიციის ინფორმაციით, მათაც ქვეყნიდან გაძევება ემუქრებოდათ.

ავსტრიაში საქართველოს კონსულის ინფორმაციით, ბლუდენცის პოლიციის შენობიდან გაქცეული ქართველი არალეგალები არიან - გიორგი აფციაური, მერაბ ბახტაძე და გოჩა სულაკაძე.

ბლუდენცის პოლიციამ გაქცეულებზე ძებნა გამოაცხადა. გაქცეულთა ასაკი 26-27 წელია, ყველაზე უფროსი - 31 წლის, რუსეთის მოქალაქეა.

ავსტრიის პოლიციის მონაცემებით, ავსტრიაში სამართალდარღვევათა რიცხვი, გასულ წლებთან შედარებით, 13 პროცენტით გაიზარდა. მათივე მონაცემებით, ყოველი მეოთხე დამნაშავე უცხოელი არალეგალია. ვენის საქალაქო პოლიციის ინფორმაციით, ყველაზე გავრცელებული კრიმინალი ჯიბის ქურდობაა, ჯიბის ქურდებს შორის კი მეორე ადგილი საქართველოს მოქალაქეებს უკავიათ.

"განსაკუთრებით საშიში ქართველები", - ავსტრიაში მცხოვრები ქართველი არალეგალებით დაკომპლექტებულ კრიმინალურ ჯგუფებს ასე მოიხსენიებენ ავსტრიელი სამართალდამცველები. როგორც ავსტრიის პოლიციის წარმომადგენლები აცხადებენ, ქართველ არალეგალთა გარკვეული კატეგორია მათ სერიოზულ საფიქრალს უჩენს.

**„ავსტრიაში მცხოვრებ ქართველთა მიერ ჩადენილი მართლსაწინააღმდეგო ქმედებანი, გასულ წელთან შედარებით, 94,8 პროცენტით გაიზარდა. ავსტრიელ კანონდამცველთა მიერ აღრიცხულია საქართველოს მოქალაქეთა მიერ ჩადენილი 1734 კრიმინალური შემთხვევა",** – ეს ინფორმაცია ჯერ კიდევ 2003 წელს გაავრცელა ავსტრიის შინაგან საქმეთა სამინისტრომ და ფედერალურმა კრიმინალურმა სამსახურმა. თუმცა, მოგვიანებით მათ მიერ შედგენილ დამნაშავეთა სამყაროს ათეულის სიაში, რომელიც ავსტრიაში მცხოვრები სხვადასხვა ქვეყნის მოქალაქეთა მიერ ჩადენილი დანაშაულების სტატისტიკური მაჩვენებელი გახლდათ, საქართველომ მხოლოდ მეცხრე ადგილი დაიკავა **„ისინი ყოველთვის თან ატარებენ დანებს. მათ ქურთუკის ჯიბეებში მუდმივად აქვთ სამართებლები და ჟანდარმერიისთვის საშიშ დამნაშავეებს წარმოადგენენ. ისინი უკიდურესი ძალადობისთვისაც კი მზად არიან",** - ასე წერდა „ლტოლვილთა სტატუსს ამოფარებული ქართველი კრიმინალების" შესახებ ერთ-ერთი პოპულარული ავსტრიული გაზეთი. **„ჰოლაბრუნი, ბადენი, ჰერზოგენბურგი – აქ ქართველთა ნაკვალევია, როცა მძარცველებსა და მაღაზიის ქურდებს პოლიცია აკავებს, უმეტეს შემთხვევაში, ეს პროცესი საშიში ინციდენტების სახეს იღებს. ერთ-ერთი შემთხვევის დროს დანით შეიარაღებულმა ქართველმა ისიც კი სცადა, რომ ჟანდარმისთვის იარაღი წაერთმია. მეორე ქართველი კი დაკითხვის დროს თავს დაესხა ახალგაზრდა თარჯიმანს",** - წერს გაზეთი.

ავსტრიული პრესის განცხადებით, ზოგიერთ შემთხვევებში, "ქართველი არალეგალ-კრიმინალები" დანაშაულის ჩადენის რაოდენობით აჭარბებენ სხვა ქვეყნიდან ჩასულ არალეგალებს. ავსტრიის პოლიციის მონაცემებით, 2003 წელს აღრიცხულია ავსტრიაში მყოფ ქართველ არალეგალთა მიერ ჩადენილი 4 ათას 719 დანაშაული; 2004 წელს კი დაფიქსირდა მათ მიერ ჩადენილი 5 ათას 93 დანაშაული, ძირითადად - ქურდობა, ყაჩაღობა და ძარცვა.

სამართალდამცველთა ოფიციალური მონაცემებით, 2005 წელს ავსტრიასა და გერმანიაში 14 ათასამდე ქართველი არალეგალი იმყოფებოდა. თუმცა, ექსპერტთა განცხადებით, ეს არ გახლავთ არალეგალური მიგრაციის ზუსტი მაჩვენებელი. ბლუდენცის პოლიცია გაქცეულ ოთხ არალეგალს აქტიურად ეძებს და ავსტრიის მოქალაქეებს მათი ძებნის საქმეში დახმარებაც კი სთხოვა. პოვნის შემთხვევაში, ოთხივეს დაუყოვნებლივ გამოაძევებენ ავსტრიიდან.

*24 საათი*

*ორი სიტყვით*

## ბრალდების მხარის მოწმეების დაკითხვა შალვა რამიშვილის პროცესზე

თბილისის საქალაქო სასამართლოში, ტელეკომპანია "202"-ის დამფუძნებლების - შალვა რამიშვილისა და დავით კოხრეიძის სასამართლო პროცესზე საქმეში დაზარალებულად ცნობილი პარლამენტარის კობა ბექაურის დაკითხვის დასრულების შემდეგ ჩვენებებს ბრალდების მხარის მოწმეები იძლევიან.

გუშინ საკმაოდ დიდხანს გაგრძელდა შინაგან საქმეთა სამინისტროს ერთ-ერთი თანამშრომლის დაკითხვა. შინაგან საქმეთა სამინისტროს კონსტიტუციური უსაფრთხოების დაცვის დეპარტამენტის თანამშრომელი გიორგი ჭყონია გუშინ ცდილობდა, დეტალურად გაეხსენებინა 2005 წლის 27 აგვისტოს მომხდარი მოვლენები. როგორც მოწმემ განაცხადა, ის შალვა რამიშვილისა და დავით კოხრეიძის დაკავების ოპერაციაში მონაწილეობდა - კერძოდ, თვალთვალს აწარმოებდა.

გუშინ დაკითხული მოწმის განმარტებით, დაკავების დროს ეჭვმიტანილებს სამართალდამცველებისთვის წინააღმდეგობა არ გაუწევიათ.

**"მე მომსწრე ვარ იმ ფაქტის, თუ როგორ მოხდა დაკავების დროს ავტომანქანიდან იმ ფულის ამოღება, რომელიც დაზარალებულმა დეპუტატმა კობა ბექაურმა შალვა რამიშვილს გადასცა. ჩხრეკა-ამოღების ოქმებს მხოლოდ დავით კოხრეიძე გაეცნო",** - განუცხადა სასამართლოს მოწმედ გამოძახებულმა შინაგან საქმეთა სამინისტროს თანამშრომელმა გიორგი ჭყონიამ. მას უამრავი კითხვა დაუსვეს თავად განსასჯელებმა, თუმცა ვერც ერთზე პასუხი ვერ მიიღეს, რის გამოც, შალვა რამიშვილმა და დავით კოხრეიძემ მათი დაკავების ოპერაციაში გიორგი ჭყონიას მონაწილეობა საეჭვოდ მიიჩნიეს.



განსასჯელი შალვა რამიშვილი ირწმუნება, რომ გამოძიების მიერ ამოღებული ნივთმტკიცება - ფული, შეცვლილია. **"ბექაურმა სხვა ფული მოიტანა ბარნოვის ქუჩაზე მდებარე სახლში, ხოლო შინაგან საქმეთა სამინისტროს თანამშრომლები ოპერატიულ მასალაში სხვა ფულს ითვლიან",** - აცხადებს შალვა რამიშვილი.

ბრალდების მხარეს მოთხოვნით, სასამართლო პროცესზე უნდა დაიკითხოს ირმა სტეფნაძე, რომლის ბინაშიც თანხის გადაცემა მოხდა. სტეფნაძე მართლმსაჯულებას დასაკითხად ჯერ არ გამოუძახებია. მომდევნო პროცესზე ჩვენებას განსასჯელ დავით კოხრეიძის ძმა გოგა კოხრეიძე მისცემს.

სასამართლოზე მტკიცებულებების გამოქვეყნებამდე ჩვენებებს განსასჯელებიც მისცემენ.

**"წინა სხდომებიდან გამომდინარე, ჩემთვის ნათელი გახდა, რომ დავით კოხრეიძესა და მე ეგრეთ წოდებული "სამგორის" კლანი გვებრძვის, რომელშიც ფიგურირებს ტერმინალ "ოპიზას" ერთ-ერთი დამფუძნებელი ვაჟა უსანეთაშვილი და, ასევე - სამგორის დეპუტატი. მე გარანტიას ვიძლევი, რომ ამ კლანის საქმიანობას სააშკარაოზე გამოვიტან",** - აცხადებს შალვა რამიშვილი, რომელიც მოწმეთა დაკითხვაში აქტიურ მონაწილეობას იღებს.

მომდევნო სასამართლო პროცესი განსასჯელ დავით კოხრეიძის ძმის დაკითხვით განახლდება.

*24 საათი*

## დაპირისპირება ფინანსურ პოლიციასა და მეწარმეებს შორის

*ფინანსური პოლიციის კახეთის სამმართველო რეგიონის ბაზრობების შემოწმებას კვლავ განაგრძობს. გადასახადების დამალვისთვის აღნიშნულმა უწყებამ სისხლის სამართლის საქმე აღძრა სოფელ ბოდბისხევის ბაზრობის შპს "შმაგის" დირექტორის წინააღმდეგ, ხოლო საჭირო დოკუმენტაციის მოუგვარებლობისთვის 800 ინდმეწარმე 500-ლარიანი გადასახადით დაჯარიმდა. ამის გამო, თელაველი ვაჭრები საპროტესტო აქციებს გეგმავენ.*

ზვიად რუაძე
*კახეთიდან*

პირველი შემთხვევა არ არის, როცა თელაველი ვაჭრები საკუთარი უფლებების დაცვას საპროტესტო აქციებით ცდილობენ. მათ ბოლოს მარტის თვეში მოაწყვეს ფართომასშტაბიანი გამოსვლა რაიონის გამგეობის შენობის წინ. მაშინ მათი პროტესტის მიზეზი რაიონის საგადასახადო ინსპექციისგან დაწესებული გადასახადები იყო - კერძოდ, აღნიშნული უწყება თითოეულ მათგანს მოგების 38 პროცენტს სთხოვდა. თუმცა, ეს პრობლემა ნაწილობრივ მოგვარდა და ამის შემდეგ თელავის წინდების ყოფილ ფაბრიკაში და სავაჭრო ცენტრ "ალაზანში" მომუშავე ვაჭრებს აქციები აღარ გაუმართავთ.

პრობლემა, რომელიც ამჯერად სავაჭრო ცენტრ "ალაზანში" გაჩნდა, როგორც უკვე აღვნიშნეთ, ფინანსური პოლიციის შესვლას უკავშირდება. **"სამი ახალგაზრდა მოვიდა და საბუთების შემოწმება მოითხოვა. ჩვენ უარი განვუცხადეთ, რადგან დოკუმენტებს ყოველთვის სახლში ვტოვებთ. თუმცა, ვუთხარით, რომ საჭიროების შემთხვევაში მოვიტანდით და ვაჩვენებდით, მაგრამ როგორც მათ გვითხრეს, იმ მომენტში ეს აუცილებლობას არ წარმოადგენდა, რადგან დოკუმენტაციების გადამოწმებას ახლი წლის შემდეგ მოახდენდნენ. დამშვიდობებისას გვითხრეს, - ხართ თუ არა თანახმა, რომ შემდეგი წლიდან სასამართლოში გაიაროთ რეგისტრაციაო. ჩვენ, რა თქმა უნდა, თანხმობა განვუცხადეთ და რაღაც ფურცელზე ხელიც მოვაწერეთ",** - იხსენებს ინდმეწარმე მარიამ მიჩილაშვილი, რომელსაც სხვა ინდმეწარმეებიც ეთანხმებიან და აცხადებენ, რომ წასვლისას ფინანსური პოლიციის თანამშრომელებმა დაიბარეს, რომ, პრობლემების შემთხვევაში, მათთვის მიემართათ. მოგვიანებით, ფინანსური პოლიციის ნაცვლად, მათთან სასამართლოს წარმომადგენელი მივიდა და ხუთასლარიანი ჯარიმის ქვითრები გადასცა. **"პირდაპირ გაგვიწერეს ჯარიმა. ტექსტი, რაზეც ფინანსური პოლიციის წარმმომადგენლებმა ხელი მოგვაწერინეს, იმიტომ არ წაგვიკითხავს, რომ მხარდაჭერას გვპირდებოდნენ და გვეუბნებოდნენ, თუ ვინმე შეგავიწროვებთ, ჩვენთან მობრძანდითო. თუმცა, რა თქმა უნდა, ვტყუივართ, ქაღალდებს ხელი ბრმად მოვაწერეთ, რის გამოც, პირდაპირ სასამართლოს გადაგვცეს. ასე ხომ არ შეიძლება? გაფრთხილება მაინც მოეცათ და ეთქვათ, რომ საბუთები გარკვეულ ვადაში უნდა წარგვედგინა",** - ამბობს "ალაზნის" წარმომადგენელი ეთერ მამალაშვილი.

ფინასური პოლიციის განმარტებით, სავაჭრო ცენტრ "ალაზანში" შესვლა იმ მიზეზით მოხდა, რომ იქ სამართალდარღვევას ჰქონდა ადგილი. **"გასული წლის განმავლობაში რეგიონის თითქმის ყველა ბაზრობაზე რეგულარულად ვატარებდით რეიდებს და ვამოწმებდით, ვინ იყო ინდმეწარმე. თუკი ვინმეს დამადასტურებელი საბუთი არ ჰქონდა, შევუდგინეთ ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა ოქმები, რომლებიც შემდგომ სასამართლოში გადავგზავნეთ, რის საფუძველზეც, მათი დაჯარიმება მოხდა. იმ პიროვნებების მიმართ კი, ვინც ინდმეწარმის ცნობა წარმოადგინა, ადმინისტრაციული ოქმი დაუყოვნებლივ გაუქმდა. ეს არის ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსის 164-ე მუხლი, რომელიც ითვალისწინებს ხუთასლარიან ჯარიმას",** - განმარტავს კახეთის ფინანსური პოლიციის უფროსი დავით გელაძე. მისივე თქმით, იმ მეწარმეებს, რომლებსაც პრეტენზიები აქვთ, 2005 წლის 1 ინვრიდან 31 დეკემბრის ჩათვლით საგადასახადო სამსახურში დაწესებული ფიქსირებული გადასახადიც კი არ აქვთ გადახდილი, რის გამოც, დავით გელაძე მათ ბიუჯეტის ქურდებს უწოდებს.

ამ დროისთვის კახეთის რეგიონის სასამართლოებმა, ფინანსური პოლიციის ინფორმაციის საფუძველზე, ხუთასლარიანი ჯარიმების გადახდა 800 ინდმეწარმეს დააკისრა. სისხლის სამართლის საქმეა აღძრული სიღნაღში, სოფელ ბოდბისხევში არსებული შპს "შმაგის" ბაზრობის დირექტორ ოთარ ფოცხვერაშვილზე. **"შემოწმების შედეგად შედგენილი აქტის საფუძველზე, გაირკვა, რომ შპს "შმაგის" გადასახადების დამალვაში ედება ბრალი. აღნიშნული აქტის საფუძველზე, ბაზრობას დაერიცხა 58 ათას 576 ლარის გადახდა. აღნიშნული თანხიდან ძირითადი გადასახადი არის 31 ათასი, დანარჩენი შეადგენს ჯარიმას და სანქციასაურავებს. თუმცა, შესაძლოა, დამატებით წარმოდგენილ დოკუმენტაციების შედეგად აღნიშნულმა თანხამ განიცადოს კორექტირება და შემცირდეს, მაგრამ ეს იქნება უმნიშვნელო - 2-3 ათასი ლარი. გარდა იმისა, რომ ბაზრობას დაერიცხა გარკვეული თანხა, დღის წესრიგში დადგა მისი გენერალური დირექტორის ოთარ ფოცხვერაშვილის სისხლის სამართლებრივი პასუხისმგებლობის საკითხი",** - ამბობს საქმის გამომძიებელი მამუკა მეტრეველი

თუ როგორ დასრულდება მეწარმეებისა და ფინანსური პოლიციის დაპირისპირებ, ამას გამოძიება გვიჩვენებს. სავაჭრო ცენტრ "ალაზანის" ინდმეწარმეები ამბობენ, რომ ისინი პირნათელნი არიან და შეურაცხყოფას არავის აპატიებენ; ხოლო იმ შემთხვევაში, თუ ფინანსური პოლიცია და სასამართლო დროულად არ გაერკვევიან საქმის არსში, ისინი თელავის გამგეობის შენობის წინ ფართომასშტაბიან საპროტესტო აქციას გეგმავენ.

## იუსტიციის სამინისტროს დელეგაციის ვიზიტი გერმანიაში წარმატებით მიმდინარეობს

გერმანიის ფედერაციული რესპუბლიკის იუსტიციის მინისტრის მიწვევით, საქართველოს იუსტიციის სამინისტროს დელეგაცია ბერლინში ოფიციალური ვიზიტით იმყოფება.

ვიზიტის პერიოდში ქართულმა დელეგაციამ, რომელსაც იუსტიციის მინისტრი გია ქავთარაძე ხელმძღვანელობს, შეხვედრები გამართა გერმანიის ფედერაციული რესპუბლიკის იუსტიციის მინისტრ ბრიგიტე ციპრისთან, საერთაშორისო სამართლებრივი თანამშრომლობის საკითხებში გერმანული ფონდის ხელმძღვანელ მატიას ვეკერლინგთან, სასამართლო პალატის პრეზიდენტ მონიკა ნიოჰრესთან, ასევე, ეკონომიკური თანამშრომლობისა და განვითარების სამინისტროს, შინაგან საქმეთა სამინისტროს, სასამართლო პალატისა და სხვა სახელმწიფო უწყებების ხელმძღვანელ პირებთან.

შეხვედრებზე საუბარი შეეხო სამართლის სფეროში ორ ქვეყანას შორის თანამშრომლობას, საკანონმდებლო სფეროში დახმარებას და სხვა საკითხებს. გერმანელ კოლეგასთან შეხვედრისას გია ქავთარაძემ საქართველოს იუსტიციის სამინისტროს საქმიანობის პრიორიტეტებზე ისაუბრა და აღნიშნა, რომ აქტიური მუშაობა მიმდინარეობს ადამიანის უფლებათა ევროპულ სასამართლოში სახელმწიფო წარმომადგენლის დეპარტამენტის გასაძლიერებლად და საერთაშორისო საარბიტრაჟო სასამართლოებში სახელმწიფო წარმომადგენლობის უზრუნველსაყოფად.

გერმანიის ფედერაციული რესპუბლიკის იუსტიციის სამინისტროს დელეგაცია საქართველოში 2005 წლის 27-29 აპრილს იმყოფებოდა, რა დროსაც ხელი მოეწერა თანამშრომლობის შესახებ ერთობლივ დეკლარაციას.

*ინტერპრესნიუსი*

## განცხადება ტენდერების ჩატარების შესახებ

**საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტრო აცხადებს ტენდერს ახალი ავტოსატრანსპორტო საშუალებების შესყიდვაზე და იწვევს ყველა დაინტერესებულ პირს ტენდერში მონაწილეობის მისაღებად.**

1. დაინტერესებულ პირებს შეუძლიათ გადაიხადონ სატენდერო მოსაკრებელი 200 (ორასი) ლარის ოდენობით ფინანსთა სამინისტროს სახაზინო სამსახურში, რომლის რეკვიზიტებია: ეროვნული ბანკი, სახაზინო კოდი: 302003000, ანგარიშის N200122900, მიუთითოთ საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს სატენდერო მოსაკრებელი და წარმოადგინოთ თანხის დამადასტურებელი ქვითარი შემდეგ მისამართზე: ქ. თბილისი, გ. გულუას ქ. N8 ოთახი 401, რის შემდგომაც გადმოგეცემათ ქართულ ენაზე შედგენილი სატენდერო დოკუმენტაცია.

ლოტი: I მსუბუქი მაღალი გამავლობის (4X4) ავტოსატრანსპორტო საშუალება - 10 ერთეული, რომლის ტექნიკური მახასიათებლები უნდა აკმაყოფილებდეს შემდეგ პირობებს:
- ორკარიანი.
- საწვავის ტიპი - ბენზინი.
- ძრავის მოცულობა - 1.500 - 1.700 სმ³.
- სიმძლავრე - არანაკლები 80 ცხენის ძალა.
- სიჩქარე - არანაკლები 120 კმ/სთ.
- სიჩქარის გადამცემი კოლოფი მექანიკური (5 წინა, 1 უკანა).
- გამოშვების წელი 2005 -2006 წელი.

2. მიწოდების ადგილი - ქ. თბილისი, გ. გულუას ქ. N10
3. დაფინანსების წყარო - "ბპი"-სთან გაფორმებული საერთაშორისო ხელშეკრულების საფუძველზე მიღებული გრანტი.
4. მიწოდების სავალდებულო ვადები: 2006 წლის 10 მარტი.
5. პრეტენდენტებმა საკვალიფიკაციო მონაცემები და სატენდერო წინადადება ქართულ ენაზე უნდა წარმოადგინონ ორ ეგზემპლარად (ერთი ორიგინალი და ერთი ასლი) 17 თებერვლის 10.00 საათიდან 11.30 სათამდე, შემდეგ მისამართზე: ქ. თბილისი, საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტრო, გ. გულუას ქ. N8.
6. საკვალიფიკაციო მონაცემები უნდა შეიცავდეს შემდეგ ცნობებსა და ინფორმაციას:

ა) ცნობა საჯარო რეესტრიდან, რომ მის ქონებაზე არ არის ყადაღა დადებული;

ბ) ცნობა შინაგან საქმეთა სამინისტროდან, რომ მისი ხელმძღვანელები უკანასკნელი 5 წლის განმავლობაში არ იყვნენ მსჯავრდებულნი და მოცემულ მომენტში მათ მიმართ არ მიმდინარეობს სისხლის სამართლის საქმე ეკონომიკურ ან სამსახურებრივ საქმიანობასთან დაკავშირებული დანაშაულისათვის.

7. წარმოდგენილ უნდა იქნეს სუბკონტრაქტორის (არსებობის შემთხვევაში) საკვალიფიკაციო მონაცემებიც.
8. პრეტენდენტები ვერ გაივლიან შერჩევას თუ მათ მიერ წარმოდგენილი საკვალიფიკაციო მონაცემები და სატენდერო წინადადება არ შეესაბამებიან სატენდერო დოკუმენტაციისა და სატენდერო განცხადების მოთხოვნებს.
9. ტენდერის შედეგად შესაძლებელია გამოვლინდეს ერთი გამარჯვებული.
10. დამატებითი ინფორმაცია დაინტერესებულ პირებს შეუძლიათ მიიღონ შემდეგი პირისაგან: ალექსი თაბუაშვილი, ტელ. 75-47-74, 899-23-46-95

**სატენდერო კომისია**

1 უცხო ქვეყნების წარმომადგენლების მიერ საკვალიფიკაციო მონაცემები წარმოდგენილი იქნება შესაბამისი ქვეყნის სახელმწიფო ორგანოდან.

## უფასო იურიდიული კონსულტაციის ქვითარი

______________________________
______________________________
______________________________
______________________________
______________________________
______________________________
______________________________
______________________________
______________________________
______________________________
______________________________
______________________________
______________________________
______________________________

**ა ნ კ ე ტ ა**

**სახელი, გვარი** ....................................

**ასაკი, პროფესია, სამუშაო ადგილი** ....................................

**საკონტაქტო ტელეფონი** ....................................

იურიდიული ოფისი "გაპი" - წერეთლის გამზ. 77. ტელ/ფაქსი: 34-76-58. www.gapi.ge

გაზეთ "24 საათის" მკითხველს აქვს შესაძლებლობა მიიღოს უფასო იურიდიული კონსულტაცია მისთვის საინტერესო სამართლებრივ საკითხებზე. [illegible]

[illegible]

1. [illegible]
2. [illegible]
3. [illegible]
4. [illegible]
5. [illegible]
6. [illegible]
7. [illegible]
8. [illegible]
9. [illegible]
10. [illegible]
11. [illegible]

"24 საათის" [illegible]



ქეთევან იგნატოვა წარმოგიდგენთ

# გულახდილად

## მთავარია, დავინახოთ





22 იანვარს ჩრდილოეთ ოსეთის ტერიტორიაზე თითქმის ერთდროულად განხორციელებულმა, კარგად დაგეგმილმა მართლაც რომ ვანდალურმა რამდენიმე ტერორისტულმა აქტმა საქართველოს ენერგობლოკადა მოახდინა და ქვეყნის თითოეული მოქალაქის უკიდურესი აღშფოთება გამოიწვია. ზამთრის ყველაზე სუსხიან, თოვლიან დღეებში საქართველოს ენერგოსისტემისთვის ზურგს უკნიდან მიყენებული დარტყმა ნებისმიერი ხედვის, პოზიციის, მატერიალური მდგომარეობის, პოლიტიკური მრწამსის ადამიანისთვის ერთნაირად მძიმე გადასატანი, მოულოდნელი, მიუღებელი ექსტრემი იყო, როდესაც ურთიერთდაპირისპირების, ურთიერთბრალდებების, ანგარიშსწორების, დემაგოგიისა და პოპულიზმის ეტაპი მთავრდება და ქვეყნის, ერის, ხელისუფლებისა და ოპოზიციის, თანასოფლებებისა და მეზობლების ერთობლივი მობილიზაცია იწყება. დღეს ყველას ყურადღება ავარიის შედეგებზე, მათ ლიკვიდაციაზე, მილების, ელექტროგადამცემი ხაზების აღდგენაზე, დამხმარე გაზის, დენის მოწოდებაზე, შეშის, სანთლების, ნავთის, თხევადი გაზის შეძენაზე, ბავშვებისა და მოხუცების გათბობაზე, ელემენტარულ გადარჩენაზე ერთნაირად არის კონცენტრირებული. დღეს ყველას თავისუფლების დიდი საფასური გვაქვს გადასახდელი, ერთი პრობლემა გვაქვს, რომლის გადაჭრის ერთადერთი შანსი ყველა ჩვენგანის გაერთიანებაში, ურთიერთდახმარებაშია. დღეს ყველას ერთმა მტერმა დაგვარტყა.

ამ ტერაქტების გარშემო იმდენი ერთი-მეორეზე აშკარა "დამთხვევაა", რომ გინდა არ გინდა, ძალაუნებურად აზრი გიყალიბდება, წარმოდგენა გექმნება, სცენარი იკითხება და მომხდარის უშუალო განმხორციელებლებს თუ არა, მათ კონკრეტულ ზრახვებსა და მიზანს მკაფიოდ ხედავ. მიზანში კი საქართველოს ნებისმიერი მოქალაქე, მოხუცი თუ ბავშვი, მეხუთე კოლონის წარმომადგენელი თუ პატარა სოფელში მცხოვრები ალალი გლეხი, ქართველი, სომეხი თუ რუსი, მარტოხელა ადამიანი თუ მრავალშვილიანი ოჯახი, ხელისუფალი თუ ოპოზიციონერი, ზვიადისტი თუ შევარდნაძისტი, მდიდარი თუ ღარიბი, თითოეული ჩვენგანი იგულისხმებოდა.

მოდით, ასევე ყველამ ერთად ვაღიაროთ, რომ პირდაპირი თუ ირიბი მუქარის, შანტაჟის ტონი რუსული პოლიტიკის სხვადასხვა რანგის წარმომადგენლებისგან არაერთხელ მოგვისმენია. რუსული სამხედრო ბაზების გაყვანას, დსთ-დან საქართველოს სავარაუდო გამოსვლის განხილვას, რუსული სამშვიდობოების კონფლიქტის ზონებში ყოფნა-არყოფნის საკითხს მოყოლილი მწვავე, დაუფარავად და უმეტესად უხეშად, უტაქტოდ, არადიპლომატიურად გამოხატული რეაქცია ყველას არაერთხელ გვინახავს. ბოლო წლებში ქართულ პოლიტიკაში მომხდარი ცვლილებებისადმი, მიმდინარე პროცესებისადმი გაღიზიანება არაერთხელ გვიგრძვნია. დღევანდელი რუსული პოლიტიკისაგან, მეტ-ნაკლებად, თითქოს ყველაფერს ველოდით, მაგრამ, როგორც ამბობენ, ომსაც კი თავისი წესები აქვსო. ამ კონკრეტულმა გამიზნულმა ტერაქტებმა ჩვენი, სამწუხაროდ, დიდი გამოცდილების ფონზეც კი, ყოველგვარ დასაშვებ მოლოდინს გადააჭარბა.

მოდით, ისიც ერთად ვაღიაროთ, რომ საქართველოში, სადაც ბოლო ათწლეულებში არაერთი ექსტრემალური რამ მომხდარა, ჩვენზე, მოსახლეობაზე არასდროს არავის უზრუნია. ბოდიშს გიხდით უხეში გამოთქმისთვის, მაგრამ ყველას ფეხებზე ვეკიდეთ. გაზიც ხანგრძლივი დროით არაერთხელ წასულა, შუქიც წლების განმავლობაში არ გვქონია, რა არ გადაგვიტანია, შეშის, ნავთის, თხევადი გაზის რიგებშიც საათობით ვმდგარვართ, ქუჩაში დანთებულ კოცონებთან პურსაც ველოდებოდით (რა მალე ივიწყებს ადამიანი?!), მაგრამ არასდროს გვირგძვნია, რომ ეს ვინმეს აწუხებს, რომ ჩვენს ზურგსუკან სახელმწიფო დგას და ჩვენი პრობლემების აღმოსაფხვრელად ყველაფერ შესაძლებელსა და შეუძლებელს მაქსიმალურად აკეთებს. მუშაობის საგანგებო რეჟიმში ქვეყანა არასდროს გადასულა (ეგ რას ნიშნავს, არც ვიცოდით!). ჩვენთვის სრულიად უჩვეულო "ცხელი ხაზიც" არასდროს ამუშავებულა. უსაფრთხოების მიზნით გაზის მოსვლის



მომენტში ონკანები რომ უნდა გადავკეტოთ, არასდროს არავის აუხსნია. მაშინ რა, გაზი საშიში არ იყო? ორი წელიწადი საკმაოდ მცირე ვადაა და ჩვენთვის ჯერ ის შეგრძნებაც უჩვეულოა, რომ გაზი იმიტომ არ შეწყდა, რომელიმე კლანის წარმომადგენელმა ნავთის დიდი პარტია რომ გაასაღოს ან ელექტროენერგია ვინმემ სადმე გაყიდა, ფული კი ჯიბეში ჩაიდო. ასე მონდომებულად, დეტალურად, სისტემატურად ანგარიშის ჩამბარებელი პრემიერ-მინისტრი, ქალაქის მერი თუ თბილგაზის ან თელასის წარმომადგენელი ვინმეს როდესმე გინახავთ? როდესმე რომელიმე მინისტრი შეგცოდებიათ? მე კი დღეს სიბნელეში, სიცივეში ვზივარ და გიჟივით გილაურს ვდარდობ (კარგი იქნება, თუ ამ სტრესს გადაიტანს!). დაძაბული მუშაობისგან ღამენათევი ჩინოვნიკები გინახავთ? წლების განმავლობაში ჩვენი ქვეყნის ხელისუფლება რუსეთის მთავრობას ასეთი პირდაპირი კატეგორიულობით არასდროს დალაპარაკებია. საქართველოს პრეზიდენტის მხრიდან ასეთ მკაცრ, თუ გნებავთ გაბრაზებულ-რადიკალურ, ყოველგვარი მიკიბულ-მოკიბულობის, ნახევრად თქმის გარეშე საუბარსაც ნამდვილად არ ვართ მიჩვეული. თუმცა, არც გულწრფელად შეწუხებულ, მობილიზებულ, მონდომებულ, უპატრონო ბავშვებთან ან მოხუცებთან ერთად შეშის ღუმელთან ჩამომჯდარ პრეზიდენტს, არსებულ რეალობაში სრულიად ბუნებრივ, ადამიანურ, ჩვენთვის კი უჩვეულო შეკითხვას - "ხომ არ გცივა?", არც ვიზიტის შეწყვეტასა და საქართველოში დაბრუნებას ვართ შეჩვეული. უგაზოდ, უსინათლოდ წლების განმავლობაში ვარსებობდით, მაგრამ მსოფლიოს არც ერთი ქვეყანა არ გამოგვხმაურებია, მხარში არ ამოგვდგომია. ხელისუფლების მხრიდან ამდენი კოორდინირებული, მონდომებული ქმედება არასდროს გვინახავს. არც ტერაქტის ან ავარიის შემდეგ რამდენიმე საათში გადარიცხული მილიონები, არც სათბობზე საბაზრო ფასების კონტროლი, არც შეშის უფასო დარიგება, სწავლის შეწყვეტა არასდროს გვახსოვს. ქვეყანაში საგანგებო მდგომარეობის გამოცხადების მოწმენიც არასდროს ვყოფილვართ.

შეიძლება სხვა ქვეყნებისთვის ბუნებრივმა, ჩვენთვის კი საქმისადმი ასეთმა უჩვეულო დამოკიდებულებამ, მობილიზაციამ, ჩვენი ჭირ-ვარამის გულწრფელმა გაზიარებამ და მდგომარეობის გამოსწორების ყველანაირმა მცდელობამ ჩემში პირადად მადლიერების თუ არა, დანახვის, დაფასების, აღნიშვნის სურვილი გამოიწვია. უჩვეულოდ ცივი დღეები შეარჩიეს და ყველას ერთად დაგვარტყეს, გაგვწირეს, მაგრამ პირველად ისეთი გრძნობა მაქვს, რომ მართლა ერთადვე დავუდექით, ერთად გავუძლებთ, ერთნაირად გვიღირს. ამ ბოლო მწარე, მოულოდნელი მაგალითით კიდევ ერთხელ დავინახე, რომ საქართველო შეიძლება არც ისე მდიდარი, დიდი, ათასი გარე თუ შიდა მტრის მქონე, მაგრამ ენთუზიაზმით, სურვილებით, მიზნებითა და სიმტკიცით აღსავსე სახელმწიფოა, რომელსაც ყველა სახელმწიფო ბერკეტი უკვე ხელთ აქვს.

უცხომ შეიძლება ვერც კი გაიგოს, რაოდენ სასიამოვნო, უჩვეულო შეგრძნებაა ჩამოყალიბებულ სახელმწიფოში ცხოვრება; რაოდენ მშვიდია სახელმწიფოს მხრიდან ზრუნვა; რაოდენ შთამბეჭდავია ქვეყნის პირველი პირის ემოციებით სავსე თვალები; ამ ყველაფრის შემხედვარე, რამდენად უფრო დაცულად გრძნობ თავს.

მთავარია, დროებითმა სიცივემ, სიბნელემ, პირადმა გაჭირვებამ არ დაგვაბრმავოს და ამ ყველაფრის დანახვა შევძლოთ, მოვინდომოთ.

## ვეწევი, მაგრამ სიამოვნებით აღარ მოვწევ

სკოლა ახალდამთავრებული მქონდა, როდესაც ჩემმა ახლო მეგობარმა და იმ დროისთვის თვითონ უკვე აქტიურმა მწეველმა ირინე მიქატაძემ პირველად მომაწევინა სიგარეტი. კარგად მახსოვს, როგორი ხველა ამივარდა, მაგრამ ზრდასრულობის ამ სიმბოლოს ბოლომდე ათვისება იმდენად ძლიერად მინდოდა, რომ თავბრუსხვევის, ხველების, უამრავი სხვა არასასიამოვნო შეგრძნების მიუხედავად, "ნაპასის" დარტყმას გმირულად ვცდილობდი. ირინე კი, რომელიც მხოლოდ გადამყიდველებთან ნაყიდ ამერიკულ წითელ "მალბოროს" ეწეოდა, მეჩხუბებოდა, სიგარეტს ნუ აფუჭებო. ბევრი წვალების, დახრჩობის ფასად, როგორც იქნა, მოწევა ვისწავლე. მე ხომ უკვე სტუდენტი და, შესაბამისად, აუცილებლად მწეველი უნდა ვყოფილიყავი! მერე მოსკოვში სწავლის ორი წელიწადი და სიგარეტით თითქოსდა პამპულობა მოდის. მოწევა არც მაშინ მსიამოვნებდა, არანაირი მოთხოვნილება არ მქონდა, მაგრამ სტუდენტური იმიჯის სრულყოფისთვის ხან "Ява-100"-ს (საშინელი სიგარეტი!), ანუ სტანდარტულზე უფრო გრძელ სიგარეტს ვეწეოდი, ან ერთი პერიოდი, გრძელი გამჭვირვალე პლასტმასის მუნდშტუკიც კი შევიძინე და თავი, როგორც მინიმუმ, ოცდაათიანი წლების რეტრო ლამაზმანი, ალბათ მერი პიკფორდი, მეგონა. ახლა რომ ვიხსენებ, ჩემს ახალგაზრდულ სისულელეზე მეცინება, არადა, ამ სისულელე-სისულელეში, თამაშ-თამაშში, პამპულობა-პამპულობაში ნელ-ნელა მოწევა მართლაც დავიწყე. დავიწყე და დღესაც ვერ დავამთავრე!

სანამ მამაჩემი ცოცხალი იყო, მისი თანდასწრებით არასდროს მომიწევია. ალბათ, ჩემი ამ მავნე ჩვევის შესახებ შესანიშნავად იცოდა, ხვდებოდა, მაგრამ არ იმჩნევდა, არ მიადვილებდა. მეც ვერიდებოდი, ვერ ვუმხელდი და შედეგად კი ბევრად ნაკლებს ვეწეოდი. ჩემი და მამაჩემის ბოლო წლების ურთიერთობის დიდი ნაწილი პარიზში იყო. ქალაქში, სადაც მაშინ ყველა ყველგან (ახლა იქაც აკრძალეს), ქუჩაში, სიარულისას, კაფეში, რესტორანში, სახლებში, სკვერებში, მილებებზე ეწეოდა. საათობით რომელიმე პარიზულ კაფეში ვისხედით ხოლმე, სალათსა და თითო ჭიქა ფრანგულ ღვინოს ან პატარა ფინჯან ყავას მივირთმევდით და მე საცოდავი კი (ყველა მწეველი გამიგებს) ვერ ვეწეოდი!

მამაჩემის გარდაცვალების შემდეგ აღარავის ვერიდები და სრულიად თავისუფლად ვეწევი და ვეწევი, თანაც ბევრად მეტს. ვეწევი ყველგან - მანქანაში, სამსახურში, სახლში, თეატრის ფოიეში ანტრაქტის დროს, სადილის შემდეგ, მეგობრული ან საქმიანი საუბრის დროს, ტელევიზორის ყურებისას, წერისას, ნარდის თამაშისას, ხატვისას, ზღვის სანაპიროზე გარუჯვისას, დასვენებისას და მუშაობისას. მაგრამ ყველაზე საყვარელი, სანატრელი ყავის თანხლებით დილას მოწეული პირველი სიგარეტია (სასურველია, ოჯახის წევრები არ მიშლიდნენ და ეს რიტუალი სიმარტოვეში ჩავატარო), რომლის გარეშე დღე თითქოსდა უკუღმართად მეწყება. ხედავთ, როგორი წყალწაღებული მწეველი ვარ. მართალია, მთლად ოტია იოსელიანი არ ვარ, მაგრამ არც ბევრი მიკლია.

საზღვარგარეთ ბოლოს ლონდონში ვიყავი და მიუხედავად იმისა, რომ მოგზაურობის ერთ-ერთი მთავარი პლუსი კარგი სიგარეტის მოწევაა, ამჯერად, ასე ვთქვათ, მოწევაში არ გამიმართლა. ჩემი ბავშვობის ახლო მეგობართან სახლში ვცხოვრობდი. არც ჩემი მეგობარი და არც მისი ამერიკელი ქმარი არც სახლში, არც კარში არც თვითონ ეწევიან და არც სხვას აწევინებენ. დილის რიტუალური ყავა და სიგარეტი ისეთ გაუსაძლის პირობებში (წვიმაში, ქარში, ვიწრო ფანჯარაში გაყოფილი თავით) მიწევია, რომ



სულ რამდენიმე დღის შემდეგ მხოლოდ ყავით დაჯერება ვამჯობინე. მეგობართან ერთად მთელი დღეები ვსეირნობდი, ლანჩზე კაფეებში შევდიოდით, საღამოს კი მისი ქმარი გვიერთდებოდა და სადილად სხვადასხვა რესტორანში მივდიოდით. პირველი, რასაც ნებისმიერ ადგილას შესვლისთანავე გეკითხებიან - "მწეველი თუ არამწეველი ადგილები გნებავთ?" ვინაიდან ჩემს არამწეველ მასპინძლებს მწეველებისთვის განკუთვნილ ხაზგასმულად ცუდ, ფაქტობრივად შემოსასვლელ კარებთან ან ტუალეტთან მაგიდებზე ჩემს გამო დაჯდომას ვერ ვაიძულებდი, მეც არამწეველებისთვის განკუთვნილ, რესტორნის საუკეთესო, ცენტრალურ ნაწილში ვჯდებოდი და ისე ვსადილობდი, მთელ საღამოს ვატარებდი, რომ სიგარეტს არ, უფრო სწორად კი ვერ ვაყოლებდი! უნდა გამოგიტყდეთ, პირველი ერთი-ორი საღამო ძალიან გამიჭირდა, არც სადილი მინდოდა, არც ინგლისურენოვანი სასიამოვნო საუბარი მესმოდა და არც შესანიშნავი ღვინის გემო მსიამოვნებდა, მაგრამ მერე მივეჩვიე. საერთოდ, ლონდონში, ფაქტობრივად, სიგარეტის გარეშე გატარებულ დღეებსაც მეტ-ნაკლებად შევეჩვიე, არსებულ რეალობას შევეგუე, მაგრამ გულში იმედს ვიტოვებდი, რომ კაფეში ბოლო ჩამოჯდომას და ერთი სიგარეტის ჩემს გემოზე გაბოლებას აეროპორტში მაინც მოვასწრებდი. ხიტროუში მისვლის, რეგისტრაციის გავლისთანავე მოსაწევი ადგილი მოვიკითხე და მითითებული მიმართულებით წავედი. წავედი და წავედი! ზღაპრებში რომ ამბობენ, ბევრი ვიარე თუ ცოტა, მე მგონი ერთი-ორი კილომეტრი გავიარე და, როგორც იქნა მივაგენი, ოღონდ რას, ამას ვერც კი აღგიწერთ, ვერც წარმოიდგენთ! ამას მხოლოდ თუ ნახავთ, უფრო სწორად კი დაყნოსავთ. არც მოწევა მოგინდება და არც, მით უმეტეს, ჩამოჯდომა. ისეთი გრძნობა მქონდა, რომ ცხვირი მონაწევი სიგარეტებით გადავსებულ, აყროლებულ საფერფლეში ჩავყავი. ამ გამოყოფილ მოსაწევ ადგილას არც ერთი ევროპელი არ ჭაჭანებდა, მხოლოდ მე და სხვადასხვა რჯულისა და ფერის უცნაური ეთნოუმცირესობები. ნისლივით ჩამოწოლილი ბოლის გარემოცვაში, ფეხზე დამდგარს ერთი სიგარეტის ბოლომდე მოწევაც კი არ მომინდა, ჩავაქრე და აეროპორტის დანარჩენი არამწეველი ტერიტორიის სახით, თითქოს ცივილიზებულ სამყაროს დავუბრუნდი. ჩამოვედი თბილისში და ლონდონში ასეთი გადაჩვეულ-შემცირებული, მეტსაც გეტყვით, უბრალოდ, ცუდი ტონის მაჩვენებელი სიგარეტი მომენტალურად ავინაზღაურე.

საქართველოში მოწევის საწინააღმდეგო კანონი თუ ისევე სრულყოფილად გატარდება, როგორც, მაგალითად, ლონდონში, ან ევროპის ნებისმიერ სხვა ქვეყანაში (ამერიკაზე აღარც ვლაპარაკობ), ამაში, მგონია, რომ ცუდი ნამდვილად არაფერია. მიუხედავად იმისა, რომ კანონის შესახებ ჯერ დაზუსტებით არაფერი ვიცით, საზოგადოების როგორც მწეველი, ისე, სხვათა შორის, არამწეველი ნაწილიც უკვე დიდი ხანია კამათობს. მართალი გითხრათ, ვერაფრით ვხვდები, რა არის ამაში საკამათო. როგორც უკვე მოგიყევით, სამწუხაროდ, საზოგადოების მწეველ ნაწილს წლების განმავლობაში მივეკუთვნები, მაგრამ მოწევასთან დაკავშირებულ შეზღუდვებს, არ გაგიკვირდეთ, ჩემი უფლებების შელახვად სრულებითაც არ აღვიქვამ და მეტიც, აბსოლუტურად მივესალმები. სიგარეტისთვის თავის სულ დანებება თუ არა, ოდნავ მაინც შემცირება ჩემი ცხოვრების ოცნებაა, რომელსაც ხასიათის სისუსტის გამო, ეტყობა, თავად ვერ ვახერხებ და თუ ამაში, ანუ ჩემი ჯანმრთელობის გაფრთხილებაში კანონი დამეხმარება, ან, თუ გნებავთ, მაიძულებს, მხოლოდ მადლიერი დავრჩები. მაგრამ თუ კანონია, ბოლომდე კანონი იყოს და საზოგადოებრივი შეკრების ნებისმიერ ადგილას, ნებისმიერ ფენას, პარლამენტის შესვენებაზე მოსაწევად გამოსული დეპუტატებიდან დაწყებული, სამარშრუტო ტაქსების მძღოლებით დამთავრებული, ყველას ერთნაირად შეეხოს. მაშინ მწეველებიც, ჩემი ჩათვლით, კანონს დავემორჩილებით, სიამოვნებით მოვწევთ ნაკლებს ან სულაც თავს დავანებებთ და ამით კი საკუთარ და სხვის ჯანმრთელობას დავინდობთ.

P.S. მოწევის კანონთან დაკავშირებით კარგი იქნება, თუ ქალაქის ხელმძღვანელობა ქუჩების განაპირა მახინჯ ჯიხურებსაც აიღებს და თამბაქოს გაყიდვას, მეტ-ნაკლებად, სისტემაში მოიყვანს. აბა სად, რომელ ქვეყანაში თუ ქალაქში გინახავთ ამდენი ჯიხური, დამტვერილ-დაობებული სიგარეტი და კიდევ რაღაც სისულელეები. სად ვაჭრობენ ასე? მაგალითად პარიზში სიგარეტს ვერსად იყიდი, გარდა კაფეებისა, რომლებსაც "თამბაქო" აწერია და რომლებიც, სხვათა შორის, ყოველ ნაბიჯზე ნამდვილად არ გხვდება. უნდა იარო, ეძებო, იკითხო, მოკლედ, იწვალო, რომ სიგარეტის ერთი კოლოფი თბილისთან შედარებით ბევრად მაღალ ფასში იყიდო. ღამე კი პარიზში სიგარეტს ვერსად იშოვი, თუ რომელიმე ღამის კლუბში ან ბარში არ შეხვედი. ქუჩაში უპრობლემოდ სიგარეტი თბილისის გარდა არსად იყიდება. თბილისური ჯიხურების გამყიდველები თვითნაკეთი "ფეჩებით", ჩამოძენძილი ცელოფანებითა და ფიცრებით თბებიან, საბნებში იფუთებიან და გამვლელ მანქანებს დღისა და ღამის ნებისმიერ მონაკვეთში ჩამოწეულ შუშაში სიგარეტს აწვდიან, თან ეშინიათ, რომ სიგარეტი არ გამოართვა და მანქანა არ დაძრა ისე, რომ ფული არ გადაუხადო (ეტყობა, ეგეთებიც ხდება). ეს გაუგებარი, უშნო, უკულტურო, სრულიად არაცივილიზებული ჯიხურები, გარდა იმისა, რომ სიგარეტის შეძენის უპრობლემობას ემსახურება, ასევე თბილისის განსაკუთრებულად უბადრუკ იერს იწვევს.

თბილისს ასე თუ მოუარეს, გაალამაზეს, შეღებეს, მოაწესრიგეს, რაღა ეს ჯიხურები დაგვიტოვეს. როგორ დავიჯერო, რომ მათ უადგილობასა და სიმახინჯეს თავად ვერ ხედავენ.















მოგწონთ?

## ცვლილებები ტენდერის ჩატარების შესახებ

ქ. ბათუმის საქალაქო მეურნეობის ადგილობრივი სამსახურის მიერ გამოცხადებულ ტენდერში (ქალაქის ტერიტორიაზე არსებული ქუჩების, სკვერების, პარკებისა და გაზონების (საერთო ფართი შეადგენს 9,6 ჰა) აგროტექნიკურ ღონისძიებით გათვალისწინებული მომსახურების სახელმწიფო შესყიდვაზე) 2006 წლის 16 იანვრის "24 საათში" შეტანილ იქნას ცვლილებები და ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით (9,6 ჰა საერთო ფართის ნაცვლად ჩაიწეროს 15 ჰა საერთო ფართი).

*სატენდერო კომისია*

## 28.12.2005 წლის სატენდერო განცხადებაში ცვლილებისა და დამატების შესახებ

სს "საქჰიდროენერგომშენი"-ს მიერ ინერტული მასალების სახელმწიფო შესყიდვაზე განცხადებაში შეტანილ იქნეს შემდეგი დაზუსტება:

- საკვალიფიკაციო მონაცემებისა და სატენდერო მოსაკრებლის გადახდის დამადასტურებელი ქვითრის წარდგენისა და შესაბამისად სატენდერო დოკუმენტაციის გადაცემის ბოლო ვადაა 2006 წლის 31 იანვარი.
- საკვალიფიკაციო მონაცემები უნდა შეიცავდეს ცნობას მონაწილეთა იურიდიული სტატუსის შესახებ, ფიზიკური პირის შემთხვევაში პირადობის მოწმობის ასლი.
- სატენდერო წინადადების წარდგენის ბოლო ვადაა 3 თებერვალი.
- სატენდერო მოსაკრებელი შეადგენს 200 ლარს, რომელიც გადახდილი უნდა იქნას შემდეგ ანგარიშზე: სს "ბანკი რესპუბლიკის ცენტრალური ფილიალი" ს/კ 220101757 ა/ა 13605011140.
- ინერტული მასალების მიწოდების ვადაა 2006 წლის 6 თებერვალი.

## საქართველოს პარლამენტის აპარატი იწვევს მაკოპირებელი ტექნიკის, ორგტექნიკის და სხვა საყოფაცხოვრებო ტექნიკის შემკეთებელ იურიდიულ და ფიზიკურ პირებს

შერჩეულმა პირმა ტექნიკა უნდა შეაკეთოს ოპერატიულად და ხარისხიანად, სასურველია შეკეთება მოხდეს შემსყიდველის მისამართზე, უნაღდო ანგარიშსწორებისა და კონსიგნაციის წესით.

დაინტერესებულმა პირებმა (კუთვნილებისამებრ) უნდა წარმოადგინონ:

1. რეკვიზიტები (მისამართი, ტელეფონი, საბანკო რეკვიზიტები),
2. რეგისტრაციის მოწმობის ასლი (ნოტარიალურად დამოწმებული),
3. ამონაწერი სამეწარმეო რეესტრიდან,
4. ინფორმაცია შრომითი გამოცდილების შესახებ,
5. წინადადება.

ჩამოთვლილი დოკუმენტაცია (ხელმოწერილი და ბეჭდით დამოწმებული) მოწოდებული უნდა იქნეს 2006 წლის 3 თებერვლის 1500-სთ-მდე შემდეგ მისამართზე: ქ. თბილისი, რუსთაველის 8.

დამატებითი ინფორმაციისათვის მიმართეთ: ზაურ ჯიოშვილი 93-25-09.

## განცხადება ტენდერის ჩატარების შესახებ

1. სს "საქართველოს გაზის საერთაშორისო კორპორაცია" აცხადებს ტენდერს კორპორაციის 2005 წლის საფინანსო-სამეურნეო საქმიანობის აუდიტის ჩატარებაზე.
2. ტენდერის მიზანია კორპორაციისა და მასში შემავალი სამეურნეო სუბიექტების 2005 წლის კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების აუდიტის ჩატარებისათვის აუდიტორული კომპანიის შერჩევა.
3. ტენდერში მონაწილეობა შეუძლიათ საერთაშორისო აუდიტორულ კომპანიებს, რომლებიც ფუნქციონირებენ საქართველოში.
4. დაინტერესებულმა ორგანიზაციებმა სატენდერო განაცხადი ქართულ ენაზე უნდა წარმოადგინონ 2006 წლის 28 თებერვლის 1800 საათამდე, მისამართზე: ქ. თბილისი 300 არაგველის ქ. N24. საკონტაქტო ტელეფონი 77 90 06.
5. მუშაობის დაწყების ვადად განისაზღვრება 2006 წლის 1 აპრილი.
6. სატენდერო დოკუმენტაციის მიღება ტენდერში მონაწილე პრეტენდენტებს 200 (ორასი) ლარი სატენდერო მოსაკრებლის გადახდის შემგეგ შეეძლებათ 2006 წლის 1 მარტის 1200 საათიდან 2 მარტის 1800 საათამდე, მისამართზე ქ. თბილისი 300 არაგველის ქ. N24.

*სატენდერო კომისია*

*ფეხბურთი*

# ჰა ბურთი, ჰა მოედანი და... ჰა მეტოქეებიც

მიხეილ აბაიშვილი

ავსტრიელმა ანდრეას ჰერცოგმა და შვეიცარიელმა შტეფან შაპიუზამ ნამდვილად არ დაგვინდეს. ამ ღრმად პატივსაცემმა ფეხბურთელებმა საქართველოს ნაკრები ისეთ შესარჩევ ქვეჯგუფში "მოახვედრეს", საფეხბურთო სამყაროში სიკვდილის ჯგუფებს რომ ეძახიან. ალბათ მიხვდებით, რომ საქმე ეხება ევროპის 2008 წლის ჩემპიონატის საკვალიფიკაციო ტურნირს, რომლის ფინალური სტადიაც ორი წლის შემდეგ ავსტრიასა და შვეიცარიაში ჩაივლის.

მეტოქეები ნამდვილად ისეთი გვყავს, ნებისმიერი გემოვნების საფეხბურთო ესთეტს ხელების ფშვნეტას დააწყებინებს. დარწმუნებული ვარ, ქართული საფეხბურთო საზოგადოება უკვე კარგად არის ინფორმირებული ჩვენი საკვალიფიკაციო ჯგუფის შემადგენლობის თაობაზე და უკვე შანსებსა და ქულებზე მსჯელობს. ამიტომ მხოლოდ შეგახსენებთ, რომ საქართველოს ნაკრები B ჯგუფში მოხვდა საფრანგეთის, იტალიის, უკრაინის, შოტლანდიის, ლიტვისა და ფარერების კომპანიაში.

რა შეიძლება ითქვას წილისყრის შედეგებზე? პირველ რიგში ალბათ ის, რომ ორგანიზატორებმა არცთუ სამართლიანად გადაანაწილეს გუნდები შესარჩევ კალათებში. თავად განსაჯეთ: ჩვენს ჯგუფში, საიდანაც ევროპის ჩემპიონატის ფინალურ ეტაპზე მხოლოდ ორ გუნდს აქვს გასვლის შანსი, სამი ისეთი გუნდი მოხვდა, რომლებსაც უკვე მოპოვებული აქვთ რანგით გაცილებით მაღალი - მსოფლიო ჩემპიონატის ფინალური ეტაპის საგზური. შედარებისთვის ვიტყვი, რომ C ჯგუფში (ბოსნია, საბერძნეთი, თურქეთი, ნორვეგია, თურქეთი, უნგრეთი, მოლდოვა, მალტა) ერთი ასეთი გუნდიც კი არ არის. ამ თვალსაზრისით სხვა ჯგუფების მაგალითის მოყვანაც შეიძლება. ფაქტი კი ერთია: თვალის ერთი შევლებით დილეტანტისთვისაც კი ნათელია, რომ შემადგენლობის სიძლიერის მიხედვით B ჯგუფი დანარჩენებისგან აშკარად გამორჩეულია.

თუმცა, ამ გარემოებას უარყოფითთან ერთად ბევრი დადებითიც აქვს. უპირველესი ისაა, რომ თბილისში მართლაც დიდი ფეხბურთი გვეწვევა. ფინანსური თვალსაზრისითაც საქართველოს



*კლაუს ტოპმიოლერს ბევრი თავსატეხი ექნება.*

ფეხბურთის ფედერაცია კმაყოფილი უნდა იყოს. საფრანგეთისა და იტალიის ნაკრები გუნდების თბილისში სტუმრობა იმის გარანტია, რომ ფედერაცია სატელევიზიო და სარეკლამო შემოსავლებიდან ექვსნიშნა შემოსავლებს მიიღებს.

ქვეჯგუფი ფსიქოლოგიური თვალსაზრისითაც საუკეთესოა. ამ ვითარებაში არც საქართველოს ნაკრებისგან, არც მისი მწვრთნელისგან არავინ ითხოვს საკვალიფიკაციო ბარიერის გადალახვას. პრეტენზია, რომ საქართველოს ნაკრებმა საფრანგეთს და იტალიას გაუსწროს, მხოლოდ ჭკუასუსტს თუ ექნება. მაშინ მსოფლიო ჩემპიონობამდე რაღა დაგვრჩენია? ქართველ ფეხბურთელებს მოხსნილი ექნებათ ფსიქოლოგიური წნეხი. ასეთ ვითარებაში სულაც არ არის გამორიცხული, რომ მყვირალა სენსაციები გამოვაცხოთ. ყოველ შემთხვევაში, ქართველ ფეხბურთელებს საერთაშორისო არენაზე თავის გამოჩენის მშვენიერი შესაძლებლობა ეძლევათ. თუ ამას დავუმატებთ კლაუს ტოპმიოლერის კვალიფიკაციას, დარწმუნებული ვარ, არა მხოლოდ უკრაინას და შოტლანდიას, არამედ თვით იტალიას და საფრანგეთს ელით უმძიმესი გამოცდა საქართველოს ნაკრებთან დაპირისპირებაში.

კლაუს ტოპმიოლერმა წილისყრის შემდეგ ზომიერი, საქმიანი და არცთუ პესიმისტური კომენტარი გააკეთა.

"ძალზე საინტერესო ჯგუფში მოვხვდით. საფრანგეთი, იტალია და უკრაინა გამოკვეთილი ფავორიტები არიან. ასეთ ტრადიციულ და ტიტულოვან გუნდებთან მეტოქეობა ჩვენთვის სერიოზული გამოწვევაა. ჩვენი მთავარი მიზანია, რომ მათ წინააღმდეგ ღირსეულად ვითამაშოთ. მჯერა, რომ საქართველოს ნაკრებს ამის პოტენციალი ნამდვილად აქვს. სტატუსი "ფავორიტი" სულაც არ ნიშნავს იმას, რომ ამ გუნდებს სხვა მეტოქეებთან, მით უმეტეს, საქართველოსთან დაპირისპირებაში 6-6 ქულა უდევთ ჯიბეში. ჩვენ სატურნირო ბრძოლაში აუტსაიდერობას ნამდვილად არ ვაპირებთ, რაშიც ყველას დავარწმუნებთ", - განაცხადა ტოპმიოლერმა.

უეფას დირექტივით, ევრო-2008-ის შესარჩევი ტურნირის კალენდარი ყველა ჯგუფის წარმომადგენელმა ქვეყნებმა მომდევნო 30 დღის განმავლობაში უნდა შეიმუშაონ. ამ მიზნით ჩვენი - B ჯგუფის გუნდების წარმომადგენლები პირველად 9 თებერვალს პარიზში შეიკრიბებიან. იმ შემთხვევაში, თუ საფრანგეთის დედაქალაქში გუნდები საბოლოო შეთანხმებამდე ვერ მივლენ, კიდევ 20 დღე ექნებათ ვადა, რათა ახალი შეხვედრა დაგეგმონ და უეფას ჩაურევლად განსაზღვრონ კალენდარი. ბოლოს, თუ ეს ვადაც არ ეყოფათ და საბოლოო შეთანხმებამდე ვერ მივლენ, საქმეში უკვე უეფა ჩაერევა და გუნდების დაუკითხავად, მათი რეიტინგის გათვალისწინებით, თავად შეადგენს ქვეჯგუფის კალენდარს.

ძირითად შესარჩევ ბადეში ანუ სერბეთთან და ლატვიასთან ჯგუფში მოხვედრისთვის საქართველოს ახალგაზრდულ ნაკრებს მალტის ბარიერის გადალახვა მოუწევს ორრაუნდიან დაპირისპირებაში. საქართველოსა და მალტის ფეხბურთის ფედერაციები ამ მატჩების ჩატარების თარიღებს უახლოეს დღეებში ორმხრივი შეთანხმებით დაადგენენ. უეფას დირექტივით, ეს თამაშები 2006 წლის 15 ივლისამდე უნდა გაიმართოს. მალტასთან წარმატებული თამაშისა და ჯგუფში მოხვედრის შემთხვევაში საქართველოს 21-წლამდელებს ჯგუფში ორი თამაშის ჩატარება მოუწევთ, რომელთაგან ერთს შინ, ლიტვასთან, ხოლო მეორეს, სტუმრად – სერბეთთან გამართავენ. ლიტვასთან მატჩი 16 აგვისტოსთვის არის დაგეგმილი, ხოლო სერბეთი – საქართველო 2 ან 3 სექტემბერს გაიმართება.

**A ჯგუფი:** ყაზახეთი, აზერბაიჯანი, სომხეთი, ფინეთი, სერბეთი, პოლონეთი, პორტუგალია, ბელგია.
**B ჯგუფი:** ფარერები, **საქართველო,** ლიტვა, შოტლანდია, უკრაინა, იტალია, საფრანგეთი.
**C ჯგუფი:** მალტა, მოლდოვა, უნგრეთი, ნორვეგია, თურქეთი, საბერძნეთი, ბოსნია
**D ჯგუფი:** სან-მარინო, კვიპროსი, უელსი, ირლანდია, სლოვაკეთი, გერმანია, ჩეხეთი.
**E ჯგუფი:** ინგლისი, ხორვატია, რუსეთი, ისრაელი, ესტონეთი, მაკედონია, ანდორა
**F ჯგუფი:** ლიხტენშტაინი, ჩრდ. ირლანდია, ისლანდია, ლატვია, დანია, ესპანეთი, შვედეთი.
**G ჯგუფი:** ლუქსემბურგი, ბელორუსი, ალბანეთი, ბულგარეთი, რუმინეთი, ჰოლანდია, სლოვენია.

### ახალგაზრდული ნაკრების შესარჩევი ციკლის კენჭისყრა

**A ჯგუფი:** ნორვეგია, ბოსნია, სან-მარინო - სომხეთს შორის გამარჯვებული.
**B ჯგუფი:** ესპანეთი, სლოვაკეთი, ალბანეთი.
**C ჯგუფი:** სერბეთი, ლიტვა, **საქართველო** - მალტას შორის გამარჯვებული.
**D ჯგუფი:** ბელგია, საბერძნეთი, აზერბაიჯანი - ირლანდიას შორის გამარჯვებული.
**E ჯგუფი:** იტალია, ავსტრია, ანდორა - ისლანდიას შორის გამარჯვებული.
**F ჯგუფი:** რუსეთი, უნგრეთი, ფინეთი.
**G ჯგუფი:** პორტუგალია, პოლონეთი, ლატვია.
**H ჯგუფი:** შვეიცარია, ინგლისი, ყაზახეთი - მოლდოვას შორის გამარჯვებული.
**I ჯგუფი:** ჩეხეთი, ბელორუსი, კვიპროსი.
**J ჯგუფი:** გერმანია, რუმინეთი, ლიხტენშტაინი - ჩრდ. ირლანდიას შორის გამარჯვებული.
**K ჯგუფი:** დანია, შვედეთი, ლუქსემბურგი - მაკედონიას შორის გამარჯვებული.
**L ჯგუფი:** ხორვატია, უკრაინა, ბულგარეთი.
**M ჯგუფი:** თურქეთი, ისრაელი, ესტონეთი - უელსს შორის გამარჯვებული.
**N ჯგუფი:** საფრანგეთი, სლოვენია, შოტლანდია

*ჩოგბურთი*

# ტატიშვილი ნახევარფინალში გავიდა, ფედერერი კი - ფინალში

მელბურნის კორტებზე გრძელდება ავსტრალიის ღია ჩემპიონატი ჩოგბურთში. გოგონათა თანრიგში წარმატებით ასპარეზობს ჩვენი თანამემამულე ანა ტატიშვილი. წყვილთა თანრიგში ანა დანიელ კაროლინა ვოზნიაკთან ერთად მეორე ნომრად არის განთესილი. მეოთხედფინალში ტატიშვილი-ვოზნიაკის დუეტმა ტურნირის მე-7 ნომერი, ჰოლანდიური ტანდემი მარიტ ბოონსტრა/რენე რეინჰარდი დაამარცხა - 6:4, 6:2 და ტურნირის ნახევარფინალში გავიდა.

ანამ მეწყვილესთან ერთად ერთი ეისი მიითვალა, ამასთან, ოთხი ორმაგი და ხუთი უნებლიე შეცდომა დაუშვა. მეტოქეებმა ორი ეისი მოაწოდეს, ექვსი ორმაგი და თორმეტი უნებლიე შეცდომა დაუშვეს.

თამაში ორივე წყვილმა ყურადღებით დაიწყო. მეტოქეები ცდილობდნენ მოწინააღმდეგე იძულებული გაეხადათ შეცდომები დაეშვა. ამ კომპონენტში ანას წყვილი უფრო მობილიზებული და იღბლიანი აღმოჩნდა. მათ მეტოქის ერთი მოწოდება აიღეს და პირველი სეტიც თავის სასარგებლოდ დაამთავრეს. ამ სეტმა თამაშის მსვლელობაზე გადამწყვეტი მნიშვნელობა იქონია. ჰოლანდიურმა დუეტმა მას იმდენი ენერგია შეალია, რომ მეორე სეტში მეტოქეებს საერთოდ ვერ გაუწია წინააღმდეგობა.

ანამ და კაროლინა ვოზნიაკმა მეორე სეტში მეტოქის ორი მოწოდება მოიგეს და სეტიც უპრობლემოდ თავის სასარგებლოდ დაასრულეს - 6:2. ნახევარფინალში ანა ტატიშვილისა და კაროლინა ვოზნიაკის წყვილი ფრანგულ-იტალიურ დუეტს - ალის კორნიესა და კორინა დენტონის შეხვდებიან. ეს წყვილი მწვანე კონტინენტზე მერვე ნომრად არის განთესილი და ანას შესანიშნავი შანსი აქვს ავსტრალიის ღია პირველობის ფინალში ითამაშოს.



*ანა ტატიშვილს შანსი აქვს ავსტრალიის ღია ჩემპიონატი მოიგოს.*

რაც შეეხება ვაჟთა ტურნირს, აქ გაირკვა მეორე ფინალისტის ბედი. მსოფლიოს პირველმა ჩოგანმა, შვეიცარიელმა როჯერ ფედერერმა 4-სეტიან მატჩში დაამარცხა ტურნირის 21-ე ნომერი გერმანელი ნიკოლას კიფერი - 6:3, 5:7, 6:0, 6:2 და ფინალში გავიდა. ავსტრალიის ღია ჩემპიონატის ფინალში ფედერერი სენსაციების ავტორს კვიპროსელ მარკოს ბაგდატისს შეხვდება.

ფედერერი და კიფერი აქამდე 10-ჯერ შეხვედრიან ერთმანეთს. პირველი ოთხი მატჩიდან, რომელიც 2000-2002 წლებში გაიმართა, სამი კიფერმა მოიგო. დანარჩენ შემთხვევებში კი ყოველთვის ფედერერი იმარჯვებდა. მატჩის წინ კიფერი, რომელიც პირველად გავიდა "დიდი სლემის" ტურნირების ნახევარფინალში, ამბობდა, რომ ფედერერის დამარცხებას აპირებს.

"მე ჩემი ჩოგბურთი უნდა ვითამაშო და ფედერერი ვაიძულო ჩემს თამაშს მოერგოს", - განაცხადა ნიკოლას კიფერმა. თავის მხრივ, როჯერ ფედერერი გაკვირვებული იყო იმით, რომ კიფერმა ნახევარფინალამდე მიაღწია. "მე ვნახე, როგორ აგებდა ის პირველივე წრეში მატჩს პარადორნ შრიჩაპხანთან და არც კი დაველოდე თამაშის დამთავრებას, ტელევიზორი გამოვრთე, - აღიარა ფედერერმა, - ვიფიქრე, რომ ასეთი თამაშით კიფერს არაფრის შანსი არა აქვს. ამიტომ ძალიან გავოცდი, რომ მან ნახევარფინალამდე მიაღწია".

პირველი სეტი ფედერერმა - 6:3 მოიგო. შუა პარტიაში მან მეტოქის მოწოდება მოიგო და სეტიც მშვიდად მიიყვანა ლოგიკურ დასასრულამდე. თუმცა, თუ გავითვალისწინებთ, რომ გერმანელი ყოველი ბურთისთვის თავგამოდებით იბრძოდა, მაშინ უნდა გვეფიქრა, რომ კიფერი ასე ადვილად მეტოქეს არ დანებდებოდა. ასეც მოხდა. მართალია, გერმანელმა ვერც მეორე სეტში მოახერხა ფედერერისთვის საკუთარი თამაში თავს მოეხვია, მაგრამ სახელოვან შვეიცარიელს დიდი წინააღმდეგობა გაუწია. მეორე სეტი გერმანელმა მოიგო. ანგარიში - 5:5 იყო, როცა კიფერმა მობილიზება შეძლო და ზედიზედ ორი გეიმი მოიგო.

მძლავრად ჩატარებული მეორე სეტის შემდეგ კიფერს აშკარად დაღლა დაეტყო - მესამე სეტი ნულზე წააგო, ხოლო მეოთხე სეტში მხოლოდ ორი გეიმის მოგება მოახერხა. მატჩი 2 საათსა და 40 წუთს გაგრძელდა და ფედერერმა ოთხ სეტში მოიგო - 6:3, 5:7, 6:0, 6:2.

კვირას, ფინალში, როჯერ ფედერერი სენსაციების ავტორს კვიპროსელ მარკოს ბაგდატისს შეხვდება. აქამდე ისინი სამჯერ შეხვდნენ ერთმანეთს და სამჯერვე ტიტულოვანმა ფედერერმა გაიმარჯვა. თუმცა, ვინ იცის? იქნებ კვიპროსელმა ტურნირზე კიდევ ერთი სენსაცია მოახდინოს?

გუშინ ავსტრალიის ღია ჩემპიონატზე პირველი ტიტული გათამაშდა. ქალ წყვილთა თანრიგში ჩინურმა დუეტმა ჩჟი იანი/ცზი ჩენი დაამარცხა ლიზა რეიმონდისა (აშშ) და სამანტა სტოსურის (ავსტრალია) წყვილი - 2:6, 7:6, 6:3.

# განცხადება ტენდერების ჩატარების შესახებ

**საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტრო აცხადებს ტენდერს მაგისტრალური მილსადენის დაცვის სპეციაულური უნიფორმის შესყიდვაზე და იწვევს ყველა დაინტერესებულ პირს ტენდერში მონაწილეობის მისაღებად.**

1. დაინტერესებულ პირებს შეუძლიათ გადაიხადონ სატენდერო მოსაკრებელი 200 (ორასი) ლარის ოდენობით ფინანსთა სამინისტროს სახაზინო სამსახურში, რომლის რეკვიზიტებია: ეროვნული ბანკი, სახაზინო კოდი; 302003000 ანგარიშისწორების ანგარიში N200122900მიუთითოთ საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს სატენდერო მოსაკრებელი და წარმოადგინოთ თანხის დამადასტურებელი ქვითარი შემდეგ მისამართზე: ქ. თბილისი, გ. გულუას ქ. N8 ოთახი 401, რის შემდგომაც გადმოგეცემათ ქართულ ენაზე შედგენილი სატენდერო დოკუმენტაცია.

2. მისაწოდებელი საქონლის რაოდენობა.

**- ლოტი I - ზამთრის ქურთუკი - 602ცალი.**

**- ლოტი II - საწვიმარი (შარვალი და ქურთუკი) - 365ცალი.**

**- ლოტი III - საწვიმარი ლაბადა - 365 ცალი.**

**- ლოტი IV - მაისური - 392 ცალი**

**- ლოტი V - სამხედრო უნიფორმა (შარვალი და პერანგი) - 600 ცალი.**

**- ლოტი VI - ქუდი - 402 ცალი.**

**- ლოტი VII - კეპი - 592 ცალი.**

**- ლოტი VIII - ხელთათმანი - 392 წყვილი.**

**- ლოტი IX - ბათინკი (საზაფხულო) - 602 წყვილი.**

**- ლოტი X - ბათინკი (ზამთრის) - 402 წყვილი.**

**- ლოტი XI - რეზინის ჩექმა - 700 წყვილი.**

**- ლოტი XII - ქამარი - 592 ცალი.**

**- ლოტი XIII -- წინდები - 592 წყვილი.**

**- ლოტი XIV - საცვლები (ზედა-ქვედა ზამთრის) - 392 ცალი**

**- ლოტი XV - პულოვერი - 392 ცალი.**

3. მიწოდების ადგილი - ქ. თბილისი, ქიზიყის N5.

4. მიწოდების სასურველი ვადები: ეტაპობრივად შემსყიდველის მოთხოვნის შესაბამისად ხელშეკრულების გაფორმებიდან სავალდებულო ორი თვის განმავლობაში.

5. პრეტენდენტებმა საკვალიფიკაციო მონაცემები და სატენდერო წინადადება ქართულ ენაზე უნდა წარმოადგინონ ორ ეგზემპლარად (ერთი ორიგინალი და ერთი ასლი) 17 თებერვლის 10.00 საათიდან 12.30. საათამდე, მისამართზე: ქ. თბილისი, საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტრო, გ. გულუას ქ. N8.

6. საკვალიფიკაციო მონაცემები უნდა შეიცავდეს შემდეგ ცნობებსა და ინფორმაციას:

ა) ცნობა საჯარო რეესტრიდან, რომ მის ქონებაზე არ არის ყადაღა დადებული;

ბ) ცნობა შინაგან საქმეთა სამინისტროდან, რომ მისი ხელმძღვანელები უკანასკნელი 5 წლის განმავლობაში არ იყვნენ მსჯავრდებულნი და მოცემულ მომენტში მათ მიმართ არ მიმდინარეობს სისხლის სამართლის საქმე ეკონომიკურ ან სამსახურებრივ საქმიანობასთან დაკავშირებული დანაშაულისათვის.

7. წარმოდგენილ უნდა იქნეს სუბკონტრაქტორის (არსებობის შემთხვევაში) საკვალიფიკაციო მონაცემებიც.

8. პრეტენდენტები ვერ გაივლიან შერჩევას თუ მათ მიერ წარმოდგენილი საკვალიფიკაციო მონაცემები და სატენდერო წინადადება არ შეესაბამებიან სატენდერო დოკუმენტაციისა და სატენდერო განცხადების მოთხოვნებს.

9. გამოყენებული იქნება ხელშეკრულების შესრულების უზრუნველყოფის მექანიზმი.

10. დაფინანსების წყარო -- "ბპ"-სთან გაფორმებული საერთაშორისო ხელშეკრულების საფუძველზე მიღებული გრანტი.

11. ტენდერის შედეგად შესაძლებელია გამოვლინდეს ერთი ან რამდენიმე გამარჯვებული.

12. დამატებითი ინფორმაცია დაინტერესებულ პირებს შეუძლიათ მიიღონ შემდეგი პირისაგან: ალექსი თაბუაშვილი, ტელ. 75-47-74, 899-23-46-95

*სატენდერო კომისია*

1 უცხო ქვეყნების წარმომადგენლების მიერ საკვალიფიკაციო მონაცემები წარმოდგენილი იქნება შესაბამისი ქვეყნის სახელმწიფო ორგანოდან.

# განცხადება ტენდერების ჩატარების შესახებ

**1.** ქ. ბათუმის საქალაქო მეურნეობის ადგილობრივი სამსახური (ქ. ბათუმი, ლუკა ასათიანის ქ. N25) აცხადებს ღია საერთაშორისო ტენდერს ქალაქის ქუჩების, ტროტუარებისა და მოედნების დაგვა-დასუფთავების, მონახვეტის ნაგავსაყრელამდე ტრანსპორტირების, ქალაქის ქუჩების, ტროტუარებისა და მოედნების თოვლის საფარისაგან გაწმენდის, მორწყვა-მორეცხვის მომსახურების სახელმწიფო შესყიდვაზე და იწვევს ტენდერში მონაწილეობის მისაღებად ყველა დაინტერესებულ პირს.

**შესყიდვის ობიექტის მოკლე აღწერილობა:**

მიმწოდებელმა უნდა უზრუნველყოს:

ა) 1 580 000 კვმ. ფართის ქუჩების, ტროტუარებისა და მოედნების დაგვა.

ბ) 216 685 კვმ. ფართის ქალაქის ქუჩებისა და მოედნების მორწყვა-მორეცხვა.

გ) 618 588 კვმ ფართის თოვლის საფარისაგან ქუჩების, ტროტუარებისა და მოედნების გაწმენდა.

დ) ქალაქის ქუჩებში განლაგებული 1850 ნაგავშემკრები კონტეინერის გარეცხვა.

ე) საკურორტო სეზონზე სანაპირო ზოლის 180 000 კვმ ფართობის დასუფთავება.

ვ) ქალაქის ტერიტორიაზე არსებული ნაგვის ურნებიდან ნაგვის გატანა ნაგავსაყრელამდე.

ზ) ნაგავსაყრელი პოლიგონის მოვლა-პატრონობა.

ნაგავსაყრელამდე ზიდვის საშუალო მანძილი არის 14 კმ.

**დამატებითი პირობები:**

ა) მიმწოდებელმა გაიტანოს ქალაქის ტერიტორიაზე არსებული ნაგავშემკერი ბუნკერებიდან და კონტეინერებიდან საყოფაცხოვრებო ნარჩენები ნაგავსაყრელამდე, სანდასუფთავების მომსახურების საფასურის ამოღებით, შესაბამისად ქ. ბათუმის საკრებულოს მიერ დამტკიცებული ზღვრული ტარიფის ფარგლებში.

**2.** მიწოდების სავალდებულო ვადაა ხელშეკრულების გაფორმებიდან **2006 წლის 31 დეკემბრამდე პერიოდი.**

**3. დაინტერესებულმა პირებმა (არარეზიდენტი პრეტენდენტის მიერ საკვალიფიკაციო მონაცემები წარმოდგენილ უნდა იქნეს შესაბამისი ქვეყნის სათანადო ორგანოდან გაცემული დოკუმენტების ქართულ ენაზე ნოტარიულად დამოწმებული თარგმანის სახით) საკვალიფიკაციო მონაცემები და სატენდერო წინადადება, ქართულ ენაზე, ორ ეგზემპლარად, დალუქული პაკეტებით უნდა წარმოადგინონ 2006 წლის 20 თებერვლიდან 2006 წლის 21 თებერვლის 17 საათამდე შემდეგ მისამართზე: ქ. ბათუმი, ლუკა ასათიანის ქ. N25. (ქ. ბათუმის საქალაქო მეურნეობის ადგილობრივი სამსახური).**

4. საკვალიფიკაციო მონაცემები უნდა შეიცავდეს შემდეგ ცნობებსა და ინფორმაციას:

**4.1 იურიდიული პირისათვის:**

ა) ცნობას, რომ არ მიმდინარეობს ტენდერში მონაწილეობის მსურველი პირის რეორგანიზაცია ან ლიკვიდაცია და მის მიმართ გაკოტრებისა და სანაციის საქმისწარმოება (ცნობა წარმოდგენილი უნდა იქნეს საგადასახადოდან და სასამართლოდან);

ბ) ცნობას შესყიდვაში მონაწილეობის მსურველი პირის ქონებაზე ყადაღის არარსებობის შესახებ. (ცნობა წარმოდგენილი უნდა იქნას საჯარო რეესტრის სააგენტოს ადგილობრივი ორგანოს მიერ);

დ) ცნობას საქართველოს შსს-ს საინფორმაციო ცენტრიდან რომ შესყიდვაში მონაწილეობის მსურველი პირის ხელმძღვანელი მუშაკები უკანასკნელი 5 (ხუთი) წლის განმავლობაში არ იყვნენ მსჯავრდებულები და მოცემულ მომენტში მათ მიმართ არ მიმდინარეობს სისხლის სამართლის საქმე ეკონომიკურ ან სამსახურებრივ საქმიანობასთან დაკავშირებული დანაშაულისათვის.

**4.2. ფიზიკური პირისათვის:**

ა) ცნობას, შესაბამისი უფლებამოსილი სამედიცინო დაწესებულებიდან, რომ ფიზიკური პირი ქმედუნარიანია.

ბ) ცნობას, რომ მის მიმართ არ მიმდინარეობს გაკოტრების საქმისწარმოება (ცნობა წარმოდგენილი უნდა იყოს სასამართლოდან).

გ) ცნობას საქართველოს შსს-ს საინფორმაციო ცენტრიდან რომ იგი უკანასკნელი 5 (ხუთი) წლის განმავლობაში არ იყო მსჯავრდებული და მოცემულ მომენტში მის მიმართ არ მიმდინარეობს სისხლის სამართლის საქმე ეკონომიკურ ან სამსახურებრივ საქმიანობასთან დაკავშირებული დანაშაულისათვის (ცნობა წარმოდგენილი უნდა იყოს საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს ინფორმატიზაციის სამმართველოდან);

**4.3. როგორც ფიზიკური, ასევე იურიდიული პირისათვის:**

ა) შესყიდვაში მონაწილეობის მსურველი პირის რეკვიზიტები (მისამართი, ტელეფონი, ფაქსი, საბანკო რეკვიზიტები);

ბ) ამონაწერი სამეწარმეო რეესტრიდან შესყიდვაში მონაწილეობის მსურველი პირის რეგისტრაციის შესახებ.

გ) ცნობა შესაბამისი საგადასახადო ინსპექციიდან ბიუჯეტისადმი დავალიანების არქონის შესახებ;

დ) ინფორმაცია ანალოგიური მომსახურების წარმოების გამოცდილების შესახებ (სამუშაოების მითითებით, რომელიც შესრულებული იქნა მონაწილეობის მსურველი პირის მიერ);

ე) ინფორმაცია შესაბამისი მატერიალურ-ტექნიკური ბაზის შესახებ (აუდიტორული დასკვნა).

**5.** სატენდერო დოკუმენტაცია შედგენილია ქართულ ენაზე. სატენდერო დოკუმენტაციის მიღება 2006 წლის 20 თებერვლამდე ტენდერში მონაწილე პრეტენდენტებს 200 (ორასი) ლარის ოდენობის სატენდერო მოსაკრებლის (ქ. ბათუმის საფინანსო სამსახურის სპეციალური ანგარიში N000142402, ბანკის კოდი 220501102, დანიშნულება სატენდერო მოსაკრებელი) გადახდის შემდეგ, შეეძლებათ მისამართზე: ქ. ბათუმი, ლუკა ასათიანის ქ. N25.

არარეზიდენტი პრეტენდენტი უფლებამოსილია აღნიშნული დოკუმენტაცია წარმოადგინოს მისთვის მისაღებ ენაზეც. ასეთ შემთხვევაში, მას თან უნდა ახლდეს მათი ნოტარიულად დამოწმებული ქართულენოვანი თარგმანი. სატენდერო კომისია განიხილავს მხოლოდ ქართულ ენაზე წარმოდგენილ დოკუმენტაციას.

**6.** დამატებითი ინფორმაცია დაინტერესებულ პირებს შეუძლიათ მიიღონ შემდეგი პირისაგან - მანუჩარ მეგრელიშვილი ტ. 7-66-40, მისამართზე: ქ. ბათუმი, ლუკა ასათიანის ქ. N25.

**სატენდერო კომისია**

# განცხადება ტენდერების ჩატარების შესახებ

1. ქ. თბილისის მთაწმინდა-კრწანისის რაიონის გამგეობა, მდებარე: 0114, ქ. თბილისი, გენერალ გ. გულუას ქ. №4-ში, აცხადებს ტენდერს მთაწმინდა-კრწანისის რაიონის ტერიტორიაზე გზების მოვლა-შეკეთების სამუშაოების სახელმწიფო შესყიდვაზე და იწვევს ტენდერში მონაწილეობის მისაღებად ყველა დაინტერესებულ პირს.

2. შესყიდვის ობიექტის მოკლე დახასიათება: შესაკეთებელი ქუჩებისა და მოედნების საერთო ფართობია 27992 კვ მ. აქედან, ასფალტის საფარით - 21220 კვ მ. ქვაფენილიანი - 6772 კვ მ. ობიექტი გაყოფილია ორ ლოტად: ყოფილი მთაწმინდისა და ყოფილი კრწანისის რაიონის ზონებად. შესაკეთებელი ქუჩების მისამართები ასახულია სატენდერო დოკუმენტაციაში.

3. მიწოდების ვადაა ხელშეკრულების გაფორმებიდან (სავარაუდოდ 2006 წლის თებერვლის ბოლოდან) 2006 წლის 31 დეკემბრის ჩათვლით.

4. დაინტერესებულმა პირებმა ქართულ ენაზე შედგენილი საკვალიფიკაციო მონაცემების დამადასტურებელი დოკუმენტები და სატენდერო წინადადებები უნდა წარმოადგინონ 2006 წლის 20 თებერვლიდან 2006 წლის 23 თებერვლის 17 საათამდე შემდეგ მისამართზე: 0114 ქ. თბილისი, გენერალ გ. გულუას ქ. №4, VI სართული, ოთახი №613.

5. ლოტების შესაბამისად, ტენდერში გამოვლინდება ერთი ან რამდენიმე გამარჯვებული.

6. ტენდერში მონაწილის (სუბ-კონტრაქტორების არსებობის შემთხვევაში, ასევე - მათი) საკვალიფიკაციო მონაცემები უნდა შეიცავდეს შემდეგ ცნობებსა და ინფორმაციას:

6.1. იურიდიული პირისათვის:

ა) ამონაწერი სამეწარმეო რეესტრიდან;

ბ) ცნობა სასამართლოდან ან საგადასახადო ინსპექციიდან, რომ არ ხორციელდება მისი რეორგანიზაცია ან ლიკვიდაცია;

გ) ცნობა საქართველოს იუსტიციის სამინისტროს საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოდან, რომ მის ქონებაზე არ არის დადებული ყადაღა.

6.2. ფიზიკური პირისათვის:

ა) ცნობა შესაბამისი სამედიცინო დაწესებულებიდან, რომ მას მთლიანად ან ნაწილობრივ არა აქვს შეზღუდული ქმედითუნარიანობა.

6.3. ფიზიკური და იურიდიული პირისათვის:

ა) ცნობა სასამართლოდან ან საგადასახადო ინსპექციიდან, რომ არ მიმდინარეობს მისი გაკოტრების ან სანაციის საქმის წარმოება.

7. განცხადებას ტენდერში მონაწილეობის შესახებ, საკვალიფიკაციო მონაცემებთან ერთად, რომელიც შედგენილი უნდა იყოს ქართულ ენაზე, თან უნდა ახლდეს წარმოდგენილი დოკუმენტაციის ნუსხა, ხელმოწერილი განმცხადებლის მიერ. კვალიფიკაციის გასავლელად განმცხადებელმა უნდა დააკმაყოფილოს ყველა ზემოაღნიშნული საკვალიფიკაციო მოთხოვნა. იურიდიული და ფიზიკური პირი ვერ გაივლის საკვალიფიკაციო შერჩევას, თუ ზემოთ დადგენილ ვადებში არ წარმოადგენს მე-6 მუხლში მოცემულ ყველა ცნობასა და ინფორმაციას, ან რომელიმე მათგანი ყალბი აღმოჩნდება.

8. სატენდერო მოსაკრებელი, რომელიც შეადგენს 200 (ორას) ლარს, გადახდილი უნდა იქნას შემდეგ ანგარიშზე: № 200122900, ბიუჯეტის შემოსულობების ერთიანი ანგარიში (მთაწმინდა-კრწანისი), ეროვნული ბანკი, ბანკის კოდი 2201011107, საბიუჯეტო შემოსავლის სახაზინო კოდი 300034040. დაინტერესებულ პირებს სატენდერო დოკუმენტაციის გატანა შეეძლებათ სატენდერო მოსაკრებელის გადახდის დამადასტურებელი საბუთის წარმოდგენისთანავე 2006 წლის 30 იანვრიდან 2006 წლის 19 თებერვლის 18 საათამდე შემდეგ მისამართზე: 0114 ქ. თბილისი, გენერალ გ. გულუას ქ. № 4, VI სართული, ოთახი №613. სატენდერო დოკუმენტაცია შესრულებული იქნება ქართულ ენაზე.

5. დამატებითი ინფორმაციისათვის დაინტერესებულ პირებს შეუძლიათ მიმართონ ეკონომიკური პოლიტიკის განყოფილების მთავარ სპეციალისტს, სატენდერო კომისიის აპარატის წევრს მამუკა სიდამონიძეს შემდეგ ნომერზე: 99-84-46.

მთაწმინდა-კრწანისის რაიონული გამგეობის სატენდერო კომისია

# განცხადება ტენდერების ჩატარების შესახებ

1. შპს "ენგურჰესი" ს/მ ქ. ზუგდიდი რუსთაველის ქ. 89 ი/მ აფხაზეთი, გალის რ-ნი დას. საბერიო, აცხადებს ტენდერს თაღოვანი კაშხლის სიღრმული წყალსაგდების ფარების შემჭიდროების ელემენტების შესყიდვაზე (შემდგომ საქონელი).

2. შესასყიდი საქონელი სიღრმული წყალსაგდების ფარების შემამჭიდროებელი ელემენტების, რაოდენობა - ოთხი კომპლექტი, მიწოდების ადგილი - თაღოვანი კაშხალი, წალენჯიხის რ-ნი, დასახლება ფოცხოეწერი.

3. მომსახურების გაწევის სავალდებულო ვადაა 75 დღე.

4. დაინტერესებულმა პირებმა საკვალიფიკაციო მონაცემების დამადასტურებელი დოკუმენტი და სატენდერო წინადადება ქართულ ენაზე (ერთი ორიგინალი და ერთი ასლი დახურულ კონვერტში) უნდა წარმოადგინონ 2006 წლის 17 თებერვლის 14 საათამდე შემდეგ მისამართზე: ქ. ზუგდიდი, რუსთაველის ქ. 89, მე-3 სართული, ენგურჰესის ოფისი. პაკეტი გაიხსნება იმავე დღეს მსურველთა თანდასწრებით, 14 სთ. 30 წთ.

5. საკვალიფიკაციო მონაცემების დამადასტურებელი დოკუმენტები უნდა შეიცავდეს შემდეგ ცნობებსა და ინფორმაციას:

5.1. იურიდიული პირისათვის:

ა) ცნობებს, რომ არ ხორციელდება მისი რეორგანიზაცია და ლიკვიდაცია და მის ქონებაზე არ არის დადებული ყადაღა;

ბ) ცნობას, რომ მისი ხელმძღვანელი უკანასკნელი 5 (ხუთი) წლის განმავლობაში არ იყო მსჯავრდებული და მოცემულ მომენტში მის მიმართ არ მიმდინარეობს სისხლის სამართლის საქმე ეკონომიკურ ან სამსახურებრივ საქმიანობასთან დაკავშირებული დანაშაულისათვის.

5.2. ფიზიკური პირისათვის:

ა) ცნობას, რომ სასამართლოს მიერ მას მთლიანად ან ნაწილობრივ არ აქვს შეზღუდული ქმედითუნარიანობა;

ბ) ცნობას, რომ იგი უკანასკნელი 5 (ხუთი) წლის განმავლობაში არ იყო მსჯავრდებული და მოცემულ მომენტში მის მიმართ არ მიმდინარეობს სისხლის სამართლის საქმე ეკონომიკურ და სამსახურებრივ საქმიანობასთან დაკავშირებული დანაშაულისათვის.

5.3. როგორც ფიზიკური, ასევე იურიდიული პირისათვის:

ა) ცნობას მონაწილის იურიდიული სტატუსის შესახებ (რეგისტრაციის მოწმობის ასლი);

ბ) ცნობა ანალოგიური სამუშაოების შესრულების შესახებ ბოლო 5 წლის განმავლობაში;

გ) ცნობა საგადასახადო ინსპექციიდან, რომ მას არ გააჩნია დავალიანება ბიუჯეტის მიმართ.

6. სატენდერო დოკუმენტაციის მიღება, ქართულ ენაზე, ტენდერში მონაწილეობის მიღების მსურველებს 200 (ორასი) ლარის ოდენობის სატენდერო მოსაკრებლის გადახდის შემდეგ შეეძლებათ მისამართზე: ქ. ზუგდიდი, რუსთაველის ქ. 89, მე-3 სართული, ენგურჰესის ოფისში, ან გაეგზავნებათ მსურველების მიერ წარდგენილ მისამართზე განცხადების გამოქვეყნებიდან სამ დღეში. ტენდერში მონაწილეობის მსურველს სატენდერო მოსაკრებლის ჩარიცხვა შეუძლია შემდეგ რეკვიზიტებზე: შპს "ენგურჰესი", პროკრედიტ ბანკის ქუთაისის ფილიალი, ს/კოდი 251716371 ა/ა 301467126 ბ/კ 220101929.

7. ტენდერის საშუალებით გამოცხადდება ერთი გამარჯვებული.

8. დამატებითი ინფორმაცია დაინტერესებულ პირებს შეუძლიათ მიიღონ შემდეგი პირისაგან: ჯეირან არონია, ტ. (887) 76 20 99, ფ. (215) 301 80.

*სატენდერო კომისია*

# განცხადება ტენდერების ჩატარების შესახებ

1. სს "საქართველოს გაზის საერთაშორისო კორპორაცია" აცხადებს ტენდერს საავტომობილო საწვავის (ბარათებით) სახელმწიფო შესყიდვებზე და იწვევს ტენდერში მონაწილეობის მისაღებად ყველა დაინტერესებულ პირს.

შესყიდვის ობიექტის მოცულობააA 60000 (სამოცი ათასი) ლიტრი საავტომობილო საწვავი. ბარათების ხანგრძლივობა უვადო.

შესასყიდი საწვავის მარკა უნდა აკმაყოფილებდეს ა93 და ა98 კლასს, მომსახურება უნდა წარმოებდეს ტენდერში მონაწილე ფირმის ყველა გასამართ სადგურში. საწვავი უნდა აკმაყოფილებდეს საქართველოში მოქმედ სტანდარტებს.

სატენდერო წინადადებების განხილვისას უპირატესი ყურადღება მიექცევა და გადამწყვეტი მნიშვნელობა მიენიჭება საწვავის ხარისხს.

2. მიწოდების დაწყების ვადაა ხელშეკრულების გაფორმებისთანავე;

3. დაინტერესებულმა პირებმა სატენდერო განაცხადი და საკვალიფიკაციო მონაცემები (ორიგინალი ან ნოტარიულად დამოწმებული ასლი) ქართულ ენაზე უნდა წარმოადგინონ 2006 წლის 16 თებერვლის 1800 საათამდე, შემდეგ მისამართზე: ქ. თბილისი, 300 არაგველის ქუჩა N24. საკონტაქტო ტელეფონი 77 90 06.

4. საკვალიფიკაციო მონაცემები უნდა შეიცავდეს შემდეგ ინფორმაციას:

4.1 იურიდიული პირისათვის:

- ცნობას, რომ არ ხორციელდება მისი რეორგანიზაცია ან ლიკვიდაცია და მის მიმართ არ მიმდინარეობს გაკოტრების ან სანაციის საქმე (ცნობა წარმოდგენილი უნდა იქნეს სასამართლოდან და საგადასახადო ინსპექციიდან რეგისტრაციის ადგილის მიხედვით);

- ცნობა საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოს თბილისის სარეგისტრაციო სამსახურიდან, რომ მის ქონებაზე არ არის დადებული ყადაღა;

- ცნობა შსს საინფორმაციო ცენტრიდან, რომ ორგანიზაციის ხელმძღვანელი უკანასკნელი 5 წლის განმავლობაში არ ყოფილა მსჯავრდებული და მოცემულ მომენტში მის მიმართ არ მიმდინარეობს სისხლის სამართლის საქმე;

- სატენდერო განაცხადი უნდა შეიცავდეს ტენდერში მონაწილეობის მსურველი პირის დასახელებას, იურიდიულ მისამართს, საკომუნიკაციო, საბანკო რეკვიზიტებს, ხელმძღვანელის სახელსა და გვარს.

4.2 ფიზიკური პირებისათვის:

- ცნობას სამედიცინო დაწესებულებიდან, რომ ფიზიკური პირი ქმედუნარიანია;

- ცნობას შსს საინფორმაციო ცენტრიდან, რომ პირი უკანასკნელი 5 წლის განმავლიბაში არ ყოფილა მსჯავრდებული და მის მიმართ მოცემულ მომენტში არ მიმდინარეობს სისხლის სამართლის საქმე.

- ცნობა სასამართლოდან, რომ მის მიმართ არ მიმდინარეობს გაკოტრების საქმის წარმოება;

- სატენდერო განაცხადი უნდა შეიცავდეს ტენდერში მონაწილეობის მსურველის პირის ვინაობას, მისამართს, საკომუნიკაციო და საბანკო რეკვიზიტებს.

4.3 როგორც ფიზიკური, ისე იურიდიული პირებისათვის:

- ინფორნაციას უკანასკნელი პერიოდის განმავლობაში განხორციელებული ან მიმდინარე პერიოდში წარმოებული ანალოგიური მიწოდებების შესახებ;

- ნებართვას შესაბამისი საქმიანობის განხორციელების შესახებ;

- ინფორმაციას ბენზინგასამართი სადგურების რაოდენობისა და მათი ადგილმდებარეობის შესახებ.

5. სატენდერო დოკუმენტაციის მიღება ტენდერში მონაწილე პრეტენდენტებს 200 (ორასი) ლარის სატენდერო მოსაკრებლის გადახდის შემდეგ შეეძლებათ 2006 წლის 17 თებერვლის 1200 საათიდან 20 თებერვლის 1800 საათამდე მისამართზე: ქ. თბილისი, 300 არაგველის ქ. N24.

*სატენდერო კომისია*

ნინია კაკაბაძის სვეტი

# „საზოგადოება" საზოგადოების წინააღმდეგ



ახალი მთავრობა და მისი, რიგ შემთხვევაში გამართლებული და ხშირ შემთხვევაში სრულიად გაუმართლებელი ნაბიჯები. დებატების გარდა, საჯარო გამოსვლები მედიის სხვადასხვა საშუალებებში, მსგავსი შინაარსითა და პათოსით. ახალმა მწერალ-პუბლიცისტმა, ჟურნალისტმა, ინტელიგენტმა კიდევ ერთი დამატებითი ფუნქცია შეიძინა. ხელისუფლების ქმედებათა პოსტფაქტუმ აგიტაცია-პროპაგანდის გარდა, მათ სხვადასხვა მოსალოდნელ სიახლეებზე ნიადაგის მომზადებაც უწევთ. მაგალითად, თუ რომელიმე მინისტრის ან რიგითი ჩინოვნიკის სახელსა და გვარს სადმე აუგად მოიხსენიებენ, ეს იმას ნიშნავს, რომ მისი სამომავლო საქმიანობა სულ ცოტა ხანში კითხვის ნიშნის ქვეშ დადგება, ჟარგონზე რომ ვთქვათ, მალე "დაერხევა" ან "დაეძრევა". ამით ხელისუფლება ორ კურდღელს იჭერს - ასრულებს საზოგადოების დაკვეთას და იცილებს მისთვის არასასურველ პერსონაჟს. მსგავსი მდგომარეობაა რამდენიმე არასამთავრობო ორგანიზაციასთან დაკავშირებით. არასამთავრობოები ითხოვენ რეფორმას აქა თუ იქ, ითხოვენ ამა თუ იმ მინისტრის თანამდებობიდან გათავისუფლებას. ადრე თუ გვიან ხელისუფლება ასრულებს მათ დაკვეთას. რამდენიმე სიტყვას განზრახ არ ვაქცევ ბრჭყალებში. ვფიქრობ, აქ მკითხველი თავად განსაზღვრავს - ამ შემთხვევაში სინამდვილეში ვინ რას ითხოვს, ვინ ვის დაკვეთას ასრულებს და, რაც მთავარია, რომელ არასამთავრობოებსა და ინტელექტუალურ მეკალმეებსა თუ მეოხტბეებზეა საუბარი. ზემოხსენებულნი არა მხოლოდ პოლიტიკურ დაკვეთებს ასრულებენ ან განსახორციელებელ რეფორმებს ითხოვენ, ისინი ხშირად საზოგადოების და განსხვავებული მოსაზრების მქონე ინტელექტუალებს ან "ენჯეოშნიკებს" ეპაექრებიან. მაგალითად, თუ ერთი ფრთა უკანონო პატიმრების უფლებებს იცავს ან უკანონოდ და არსებითი მტკიცებულებების გარეშე მასობრივ დაპატიმრებებს აპროტესტებს, მეორე ფრთა უეცრად ასეთივე უკანონობის, კანონიერი ქურდების წინააღმდეგ ილაშქრებს. ამ შემთხვევაში ხელისუფლებამ რომელიმე სამოქალაქო სექტორის დაკვეთა უნდა შეასრულოს. ასრულებს იმას, რომლის დამკვეთიც სინამდვილეში თავად არის. ასე რომ, ეს ახალი ინტელექტუალებისა და არასამთავრობოების ჯგუფი გაცილებით მძიმე და საპასუხისმგებლო სამუშაოს ასრულებს, ვიდრე შევარდნაძის კარგად გამძღარი და თბილად მოკალათებული მგოსნები.

ასე რომ, რამდენად დიდიც არ უნდა იყოს ჩვენი ახალი ქვეყნის, ახალი ხელისუფლების სურვილი, აკეთოს საქმე დამოუკიდებელ პირთა დახმარების გარეშე, მისი სურვილი სურვილად რჩება. სინამდვილეში ახალმა დროებამ ახალი ფორმები და ახალი სახეები მოიტანა, რომლებიც ახალ სტილში მეგობრობენ. მაგრამ ფაქტი ფაქტად რჩება - ყველა მთავრობას, ძველი, კომუნისტური დიდების ნაშთი იქნება ეს თუ ახალი დემოკრატიული სახელმწიფოს ნიშანი, ყველას სჭირდება მეგობრები, დამცველები, მეხოტბეები, აგიტატორები საზოგადოებაში, რომელიც ქვეყნის მთავარ ფრთაზე - სწორედ საზოგადოებაზე მუშაობენ.

ახალ დროებაში, ახალ საქართველოში, ახალ ხელისუფლებაში და ხელისუფლებასთან დაახლოებულ ახალ ინტელიგენციაში თუ ორგანიზაციებში ბევრი სიახლეა. ოდესღაც ახალ ტენდენციებზე – როგორია ხელისუფლების დამოკიდებულება პრივილეგირებულ ინტელიგენციასთან, ხელოვანებთან თუ სხვა, უკვე ვისაუბრეთ. მართალია, ნელი ტემპით, მაგრამ დამოკიდებულებები აშკარად უფრო ვითარდება და, აქედან გამომდინარე, მათი ურთიერთობის უფრო მკვეთრი კონტურებიც ისახება.

ის, რომ ჩვენი პრეზიდენტი შევარდნაძის ინტელიგენციასთან დამოკიდებულების ფობიით არის შეპყრობილი, ამაზეც გვისაუბრია. ის, რომ, როგორც ამბობენ, პრეზიდენტს ხელოვნება არც ესმის და არც უყვარს, ამაზეც გვისაუბრია და არა მხოლოდ ჩვენ. მაგრამ საინტერესო ის არის, რა მოგვარდა ამ, შესაძლოა, გამართლებული ფობიის შედეგად. პატარა წინასიტყვაობის ნაცვლად და იმის გათვალისწინებით, რომ გამეორება ცოდნის დედაა, მე კიდევ ერთხელ მოკლედ მოგახსენებთ.

ედუარდ შევარდნაძის არაჯანსაღი ურთიერთობა მწერლებთან, რეჟისორებთან, პოეტებთან, მსახიობებთან, მომღერლებთან და ხელოვნების სხვა მუშაკებთან, ბუნებრივია, თანამედროვე საქართველოსთვის მიუღებელი და გაუმართლებელია. ვფიქრობ, ყველანი შევთანხმდით, რომ ამ ურთიერთობათა სისტემას, რომელიც ნაჩუქარ მანქანებს, სახლებს, აგარაკებს, თანამდებობებს, პრემიებს... გულისხმობდა, ერთმნიშვნელოვნად მანკიერი იერი ჰქონდა. მთავრობა ზემოხსენებულ ხელოვანებს თუ, უბრალოდ, ინტელიგენციის წევრებს ასაჩუქრებდა. რას აკეთებდნენ ისინი სანაცვლოდ? თხზავდნენ ლექსებს დიად პარტიაზე, იღებდნენ ფილმებს რაიკომის მდივნებზე, დგამდნენ სპექტაკლებს სოციალისტური წყობის მონაპოვრებზე და ა.შ. რასაკვირველია, საჯაროდ გამოდიოდნენ და აგიტაცია-პროპაგანდას ეწეოდნენ დიადი კომუნისტური პარტიის, მისი თვალსაჩინო ნაბიჯებისა თუ წევრების შესახებ. დღეს მთავრობა აღარც ცეკავშირის მაღაზიის სასურსათო ტალონებს არიგებს და, მით უმეტეს, არც აგარაკებსა და საცხოვრებელ ფართს ქალაქის ცენტრში. დღეს ამ ურთიერთობის ახალი და განსხვავებული ფორმების ჩამოყალიბების პროცესში ვართ და რაც დრო გადის, ამ ფორმების ამოცნობა უფრო და უფრო ადვილი ხდება. პრივილეგიები უფრო მოკრძალებული ფორმისაა. ახლა, მაგალითად, პრეზიდენტის ან რომელიმე მინისტრის უცხო ქვეყანაში ვიზიტის ამალაში მოხვედრა, მასთან ან სხვა, განსაკუთრებით ძალოვან მინისტრებთან ერთად ვახშამი, ერთი-ორი ბარაქიანი (ოფიციალური) დაკვეთა, ღირსების ორდენი (ეს უკანასკნელი ჟამთა ცვლას არ ექვემდებარება), საკუთარი ბიზნესის ხელშეუხებლობა და სხვა ამგვარი წვრილმანი პატივისცემის ფორმები უფრო ხშირია.

პატარა გადახვევა. "ხელისუფლება გამოიცვალა და ეს ის მთავრობა არ გახლავთ, რომელსაც ქვეშევრდომი ინტელიგენტები თუ მეხოტბეები სჭირდება", - ნიშნისმოგებით გაიძახიან ხელისუფლების წარმომადგენლები და ძმანი მათნი. მაგრამ, სამწუხაროდ, იმას არ ითვალისწინებენ, რომ ხელისუფლებასთან ერთად ინტელიგენცია თუ ხელოვანების თაობაც გამოიცვალა და სიჩუმის ნაცვლად არც უახლესი მარკის ავტომობილებს ითხოვენ და არც წილებს სხვადასხვა ბაზრობებზე, მიწებზე, ბალ-პარკებზე და ა.შ. ამიტომაც დასაჩუქრდება მხოლოდ ის, ვინც ხმამაღლა დაიცავს ახალი დროების ახალ მთავრობას. მაგრამ დასაჩუქრდება სხვაგვარად, ახალი, ზემოთ მოყვანილი მეთოდებით.

უკვე მოგახსენეთ იმის შესახებ, თუ რა სახის პრივილეგიებს არიგებს დღევანდელი ხელისუფლება, მაგრამ რას სთავაზობს მას სანაცვლოდ მეორე მხარე? ურთიერთობა აქაც გაცვლა-გამოცვლის სისტემაშია მოქცეული. რასაკვირველია, დებატები, სადაც უნდა გავამართლოთ და დავიცვათ

# ეკა, საქართველო და რუსეთი

ფმ ცხელი 98.0

**ეკა კვესიტაძე**: დღეს "დიალოგების" თემაა ქართულ-რუსული ურთიერთობები. ჩვენი სტუმარია საერთაშორისო ურთიერთობათა ექსპერტი შალვა ფიჩხაძე. ის რაც დღეს ხდება, რუსეთის მიერ მოწყობილი, გამიზნული ბლოკადაა?

**შალვა ფიჩხაძე**: ის რომ კრემლიდან მოდიოდა მითითებები გაზსადენის აფეთქებასთან დაკავშირებით, ნაკლებად სავარაუდოდ მეჩვენება, თუმცა ამ გაზსადენის მდგომარეობა რუსეთის პასუხისმგებლობის ქვეშაა. ის ვალდებულია დაიცვას მაგისტრალები, რომლითაც მეზობელ ქვეყანას ამარაგებს.

**ეკა კვესიტაძე**: რატომ ვერ მოხდა ამ მაგისტრალის დაცვა?

**შალვა ფიჩხაძე**: ეს რომ დივერსიაა, ეჭვგარეშეა. ეს გაკეთებულია განზრახვით, თუმცა რთულია ითქვას, ვინ გააკეთა ეს.

**ეკა კვესიტაძე**: მაინც ვის აძლევდა ხელს?

**შალვა ფიჩხაძე**: ჩრდილოეთ კავკასიას, მაგალითად. შეიძლება იყოს გარკვეული ძალა განაწყენებული საქართველოს ხელისუფლებაზე. ანდა სეპარატისტული დაჯგუფება.

**ეკა კვესიტაძე**: ჩვენ აღმოვჩნდით გარკვეულ ბლოკადაში. აზერბაიჯანი ვერ გვაწვდის გაზს, რადგანაც რუსეთიდან ვერ ღებულობს საკმარისი რაოდენობით. ძალიან ხშირად რუსეთის ქმედება ლოგიკას არ ექვემდებარება.

**შალვა ფიჩხაძე**: ზეწოლა არის და ეს სიახლეს არ წარმოადგენს. ასეთი აფეთქება დაახლოებით 5-6 წლის წინათაც მოხდა, მაგრამ რუსეთს გაზსადენი სხვაგანაც უფეთქდება. ეს წააგავს დივერსიას, მაგრამ რას მიაღწია რუსეთმა ამით? საქართველოში კიდევ უფრო გაღვივდა ანტირუსული განწყობა, რაში აწყობდა რუსეთს ეს ამბავი?

**ეკა კვესიტაძე**: გეთანხმებით, მაგრამ რა გახსენდებათ ისეთი, რამაც ჩვენი სიმპათია გამოიწვია რუსეთის მიმართ?

**შალვა ფიჩხაძე**: რამდენიმე დღის წინ პრეზიდენტმა გახსნა ახალი გაზტურბინები, რომელიც რუსული ფულითაა ნაყიდი, მაგალითისთვის ავიღოთ თელასი, ის რუსული კომპანიაა, მაგრამ მან საქართველო გაანათა.

**ეკა კვესიტაძე**: მე მაინტერესებს წმინდა პოლიტიკური ქმედებები, რომლითაც რუსეთმა საქართველოს მოსახლეობაში სიმპათია გამოიწვია.

**შალვა ფიჩხაძე**: რუსეთმა მხარდაჭერა გამოუცხადა გეგმას, რომელიც ნოღაიდელმა ეუთოში წარმოადგინა.

**ეკა კვესიტაძე**: მაგრამ ამ გეგმის განხორციელებას რუსეთი, როგორც ჩანს, არ გეგმავს.

**შალვა ფიჩხაძე**: არა, იმ გეგმის განხორციელება უბრალოდ არ დაწყებულა.

**ეკა კვესიტაძე**: არის თუ არა თანამიმდევრული რუსეთი საგარეო პოლიტიკაში?

**შალვა ფიჩხაძე**: რუსეთი თანამიმდევრულია იმ თვალსაზრისით, რომ მას სურს გავლენის გაზრდა ჩვენზე, საბედნიეროდ რუსეთის ამგვარ პოლიტიკას ეწინააღმდეგება მასზე ძლიერი ქვეყანა. არა მგონია აშშ-მ დათმოს ეს რეგიონი. თუკი ამერიკა არ მოინდომებს, რუსეთი საწადელს ვერ მიაღწევს.

**ეკა კვესიტაძე**: რამდენად გამართლებული იყო ჩვენი ხელისუფლების მიერ ამ ბოლო დღეებში გაკეთებული ასეთი ხისტი განცხადებები დიპლომატიური თვალსაზრისით?

**შალვა ფიჩხაძე**: მთავარია, რა მოიტანა ასეთმა განცხადებებმა? რამდენად არის ჩვენი მთავრობა თანამიმდევრული? ის აქცია, რომელიც რუსეთის საელჩოსთან მიმდინარეობდა, ჩვენი პარლამენტის შენობასთან უნდა გამართულიყო, რადგანაც ჩვენს პარლამენტს მოეთხოვა ჯარების გაყვანა ბევრად უფრო აქტიურად და რადიკალურად.

**ეკა კვესიტაძე**: აზერბაიჯანი ვეღარ გვაწვდის გაზს, თითქოს იქაც ავარია მოხდა... ხომ არ იყო ეს რეაქცია რუსეთიდან ჩვენი მთავრობის განცხადებებზე?

**შალვა ფიჩხაძე**: შესაძლებელია, რუსეთისთვის მთავარია საქართველოში გავლენის გაზრდა, ნებისმიერი გზით. ასეთი მიზნების ჩამოყალიბების თვალსაზრისით ის თანმიმდევრულია, მაგრამ მათი განხორციელების შემთხვევაში, - აბსოლუტურად არალოგიკური. რუსეთი და რუსეთის ხელისუფლება საბჭოთა კავშირის დაშლას ისტორიულ შეცდომად, ტრაგედიად აღიქვამენ.

**ეკა კვესიტაძე**: არადა ყველა ქვეყანა ინანიებს თავის იმპერიალისტურ წარსულს. ასე არ ხდება რუსეთში. ერთადერთი რუსეთი არ ცდილობს კრიტიკულად გადახედოს წარსულს...

**შალვა ფიჩხაძე**: შესაძლოა მომავალში ასეც მოხდეს და ეს დროის ფაქტორი იყოს. ერთია კიდევ, იმპერიების დაშლის შემდეგ, დომინიონი სახელმწიფოები დღეს უკვე ცხოვრების მაღალი დონით გამოირჩევიან. რუსეთი ვერა. ისინი მისტირიან საბჭოთა წარსულს, რადგანაც მათ მაშინ უზრუნველი ცხოვრება ჰქონდათ. ეს იყო დიქტატორული სახელმწიფო, რომელმაც აღზარდა თაობები, რომლებსაც მყარად სჯეროდათ, რომ მდიდარს უნდა წაართვან და ღარიბს მისცენ, რომ საჭიროა ბელადი, რომელსაც უსიტყვოდ მოუსმენენ, მათ პატრონის მოთხოვნილება აქვთ.

**ეკა კვესიტაძე**: ეს დროის პრობლემაა თუ ერის?

**შალვა ფიჩხაძე**: მიჭირს ამაზე საუბარი, მაინც მომავალი აჩვენებს. თუ 20-30 წელში ისინი კვლავ ამგვარ აზრზე იქნებიან, მაშინ გამოდის, რომ ძალიან მძიმედაა საქმე.

**ეკა კვესიტაძე**: როცა პუტინმა თავის დროზე აღნიშნა, რომ ის არის დემოკრატი ლიდერი, დასავლეთში იმედი გაჩნდა, რატომ შეიცვალა მისი პოლიტიკური მენტალიტეტი?

**შალვა ფიჩხაძე**: შეიცვალა? იყო კი იგი დემოკრატი? ეს იყო ხარკი დემოკრატიისთვის, დიდი ხარკი, მაგრამ ქვეყანაც დიდია... ჩვენ გვინდა, რომ რუსეთისა და რუსი ხალხის პოლიტიკური აზროვნება შეიცვალოს, მაგრამ უნდა გავიაზროთ, რომ ამისთვის საჭიროა დიდი რეფორმატორი მოვიდეს ამ ქვეყნის სათავეში, ელცინზე დიდი. ელცინი მართლაც იყო დიდი რეფორმატორი, მისი შეცდომებისა და ბოლო წლების დავრდომილობის მიუხედავად, მან ძალზედ მნიშვნელოვანი სვლები მოახდინა. ახლა ბევრად თამამი უნდა იყოს მმართველი, რომელიც სამომავლოდ რუსეთში რეფორმებს განახორციელებს, მაგრამ ამავდროულად მას ძალიან დიდი ნდობის მანდატი უნდა გააჩნდეს რუსი ხალხისგან. ის კი, რაც ახლა იდეის დონეზე დავუშვით, რეალურად შეუძლებელია რომ მოხდეს.


## სწავლა დიდ ბრიტანეთში

- ლონდონი, ოქსფორდი კემბრიჯი, ბრაიტონი
- ინგლისური ენის ცენტრი თბილისში

- გთავაზობთ სწავლას დიდ ბრიტანეთში ინგლისური ენის კოლეჯებში და საუნივერსიტეტო პროგრამებზე: A-Level, Foundation, და Pre-MBA. საქართველოს ბანკის მიერ სწავლების დაფინანსების შესაძლებლობით.
- მომზადებას ინგლისურ ენაში თანამედროვე მეთოდებით მაღალკვალიფიციური ინგლისელი და ქართველი სპეციალისტების მონაწილეობით. აბიტურიენტების მომზადებას ეროვნული გამოცდებისათვის.

საგანმანათლებლო სააგენტო ELL
თბილისი, ვაჟა-ფშაველას 30ა II სართული
ტელ: 39 92 46, 899 50 40 12
E-mail: n_makatsaria@yahoo.com


## ნიკოლ კიდმანი ქალების უფლებებს დაიცავს



მსახიობი ნიკოლ კიდმანი გაეროს განვითარების ფონდის კეთილი ნების ელჩად აირჩიეს. ის ქალთა უფლებების და გენდერული თანასწორობის საკითხებზე იმუშავებს. აქცენტი გაკეთდება ქალების მიმართ ძალადობის ფაქტებზე. 38 წლის ავსტრალიელ მსახიობს უკვე აქვს ამ ორგანიზაციასთან მუშაობის გამოცდილება. 1994 წლიდან ის გაეროს ბავშვთა ფონდის კეთილი ნების ელჩია. მსახიობმა ახლახან ფილმშიც ითამაშა გაეროს წარმომადგენლის როლი. ფილმი 2005 წელს გადაიღეს და მას "ინტერპრეტატორი" ჰქვია. "მოხარული ვარ, რომ ასეთი პატივი მხვდა წილად" – აცხადებს კიდმანი.

## ბერლინი ფროიდის დაბადების დღეს აღნიშნავს

რამდენიმე დღის წინ ბერლინის ებრაულმა მუზეუმმა გაავრცელა ინფორმაცია, რომ ზიგმუნდ ფროიდის დაბადებიდან 150 წლის აღსანიშნავად აპრილში გახსნის გამოფენას, რომელსაც ფსიქოანალიზის მამას მიუძღვნის. ექსპოზიცია 27 აგვისტომდე გაგრძელდება.

გამოფენა, რომლის სათაური "ფსიქოანალიზი" არავის გაჰკვირვებია, წარმოაჩენს როგორც იმ პერიოდსა და გარემოს, როცა ფროიდი მუშაობდა, ისე მისი კვლევების გავლენას დღევანდელობაზე.

ექსპოზიციისთვის მუშაობენ არა მხოლოდ მუზეუმის თანამშრომლები, არამედ ფოტოხელოვანები და მეცნიერები.


## ყურადღება!



დაიკარგა ლაიკა "ხასკი",
ცისფერი თვალებით. მპოვნელი დასაჩუქრდება.
შეტყობინებისთვის გთხოვთ, დარეკოთ ტელეფონზე 899 14 02 77



## გამაჯანსაღებელი ცენტრი

ნაუტილუსი



გთავაზობთ:

- აღმოსავლური მედიცინის ცენტრი
- სარეაბილიტაციო-რელაქსაციური SPA ცენტრი
- მარადიული ახალგაზრდობის სამყარო "კედრის სახლი"
- წონაში კლების ახალი უნიკალური პროგრამა
- "STARMASTER"-ის და "NAUTILUS"-ის უახლესი თაობის ტრენაჟორებით აღჭურვილი ფიტნეს კლუბი
- ულტრათანამედროვე რეაბილიტაცია და SPA ცენტრი
- ულტრათანამედროვე გერმანული სამკურნალო აბაზანები და ტალახები, SPA კაფსულა
- უახლესი გერმანული ვერტიკალური და ჰორიზონტალური სოლარიუმები

მისამართი: ი.ჭავჭავაძის 78
ტელ: 22 56 26
23 56 26
E-mail: info@nautilus.ge
reception@nautilus.ge









## სიახლე გამაჯანსაღებელ ცენტრ "ნაუტილუსში"

გაიხსნა აღმოსავლური მედიცინის ცენტრი, სადაც მომსახურებას გაგიწევენ უმაღლესი კვალიფიკაციის მქონე სპეციალისტები: საერთაშორისო სუ ჯოკ აკადემიის მასწავლებელი **სიმონ გორელაშვილი, ანდრო სამხთუაშვილი, ლალი მუხიაშვილი** და სხვ.

მკურნალობა ტარდება შემდეგი მეთოდებით:

ჩინური მედიცინა, სუ ჯოკ თერაპია, ტვისტ თერაპია, ელექტროპუნქტურა, ლაზეროპუნქტურა, მანუალური თერაპია და სხვა.

გნებავთ განთავისუფლდეთ შემდეგი პრობლემებისაგან:

ნევროზი; უნებლიე შარდვა; ნევრიტები და ნევრალგიები; რადიკულიტი; დისკოზი; მხედველობის, სმენის, ყნოსვის, გემოვნების, დაქვეითება; რეინოს დაავადება; ბრონქიტი, ბრონქიალური ასთმა; კუჭის და თორმეტგოჯა ნაწლავის წყლულოვანი დაავადებები; დიფუზური და კვანძოვანი ჩიყვი; საკვერცხეების ცისტა, მენსტრუალური ციკლის დარღვევა, ძვალსახსროვანი სისტემის ტრავმული დაზიანებები, თმის ცვენა და სხვა.

მობრძანდით აღმოსავლური მედიცინის ცენტრ "ნაუტილუსში"!

მის.: ი. ჭავჭავაძის გამზ. N78
ტელ.: 899 55 28 87; 22-56-26; 23-56-26
ელ. ფოსტა: info@nautilus.ge


კომიქსი

